



ციხეხანი

№ 36 / 21 - 27 ივნისი / 2010

„ალიანსიდან“ ალასანიამდე **83. 8**

საქართველოს საგარეო პოლიტიკა **83. 17**

შირგიზების ზონა **83. 22**

სომხეთი: „არა – კოლონიზაციას“ **83. 25**

კოლორი – ახალი კურორტი აფხაზეთში **83. 27**

წურნალისტური გამოძიება: პარლამენტი ქუთაისში **83. 29**

ახალი საგადასახადო კოდექსი და ბინების ფასი **83. 37**

ეკლესიიდან განდევნილი მართლმადიდებლები **83. 40**

ლუბა გულაძე: მამაკაცები მტვირსასრუტებით **83. 44**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ონკოლოგიური სტიბმა

83. 12





ზოლის **IV** სართლი
ნინო ჟიჟილაშვილის



მანსტრო



შაბათი

21:00



ზაალ სამადაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს, თბილისი, ივნისი 2010

ფოტო: ლევან სარიშვილი

ნომერში:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ფოტორეპორტაჟი
- 07 ვრცლად
- 10 **ორი აზრი**
მოგნონთ თუ არა საჯარო სკოლების სარეიტინგო სისტემა?
გია მურულუა vs ქეთევან თოფაძე
- 12 **მთავარი თემა**
ონკოლოგიური სტიგმა
- 16 **თვალსაზრისი**
არაფერი პირადი, მხოლოდ სტატისტიკა
მარკ მალენი
- 17 **ინტერვიუ**
გარღვეებიდან სტაგნაციამდე
ვანო მაჭავარიანი, ბაკურ კვაშილავა

მსოფლიო

- 22 ყირგიზეთის ზონა
- მეზობლები**
- 25 „არა – კოლონიზაციას“
- კონფლიქტები**
- 27 ახალი კურორტი აფხაზეთში
- ჟურნალისტური გამოძიება**
- 29 ახალი პარლამენტი – დაზუსტებული ობიექტი
- 32 **უსინათლო ამომრჩევლების უფლებები**
როცა საკუთარ არჩევანს ვერ ხედავ



საუბრები ლიბერალიზმზე

- 34 ქართული ბიუროკრატია

ეკონომიკა

- 36 ჩქარი ნაბიჯის უკუჩვენება
- 37 **ახალი საგადასახადო კოდექსი**
იყიდე, სანამ გაძვირდება
- საზოგადოება**
- 40 ეკლესიიდან განდევნილი მართლმადიდებლები
- თვალსაზრისი**
- 44 მამაკაცები მტვერსასრუტებით ლაშა ბუღაძე
- სპორტი**
- 45 პირველი ბომბი სანდრო ნავერიანი
- 46 ვუფუხელა გიო ახვლედიანი
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 48 გასაკეთებელი კიდევ ბევრია

ბარეკანზე:

ონკოლოგიური სტიგმა
ფოტო: თემო ბარძიმაშვილი



ფუნდამენტი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„უნდა იცოდეს თუ არა ახალგაზრდამ ვინ არის ლექსის ავტორი? გეთანხმებით – ლექსს გააჩნია და ავტორს. და თუ ეს ლექსია „ჩემო კარგო ქვეყანავ“? და ეს ავტორი ილია ჭავჭავაძეა? – იკითხა ეკა ხოფერიამ თავისი საავტორო გადაცემა „აუდიტორიის“ ეთერში და გადაცემის თემად განათლება დაასახელა. ახალგაზრდების განათლების პრობლემის წარმოსაჩენად მან სტუდენტები გამოკითხა. „ვინ არის რობერტ სტურუა? ვისი სიტყვებით იწყება საქართველოს ჰიმნი? ვინ დადგა სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“? ვინ გადაიღო ფილმი „მონანიება“? – ეკითხებოდა ჟურნალისტი სტუდენტებს.

„რა იციან, რა არ იციან, რა უნდა იცოდნენ და რა არ უნდა იცოდნენ სტუდენტებმა?“ – კვლავ იკითხა ეკა ხოფერიამ და პასუხების მისაღებად სტუდიაში ჯანსუღ ჩარკვიანი, ლელა წურნუშია, ავთო ვარსიმაშვილი, გოგია ქავთარაძე, გია მურულუღია და სიმონ ჯანაშია მიიწვია. გამოკითხვას სტუდიაში ასეთი კომენტარები მოჰყვა: – „მე ვფიქრობ ასეთი დაუნები ყველა დროში იყვნენ, მაგრამ ამდენი არ იყვნენ ალბათ“, – თქვა ავთო ვარსიმაშვილმა.

„ალშოთებელი ვარ და ცოტა გულიც ამიჩქარდა. ეს ჩვენი ეპოქაა, ჩვენი ისტორიაა და ის ადამიანები არიან ვისითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა და არ ვიცი...“ – დაამატა ლელა წურნუშიამ. „დაუნი კიდევ უფრო სხვა რაღაცაა, ესენი უფიცები არიან“, – თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა. გადაცემას რეაქცია სოციალურ ქსელ „ფეისბუქშიც“ მოჰყვა. ახალგაზრდების შეფასება არაერთგვაროვანი იყო. როგორც სტუდენტები ამბობენ, ამ გადაცემას განხილვა უნივერსიტეტებშიც მოჰყვა. „ლიბერალი“ დაინტერესდა რა გავლენა ჰქონდა გადაცემა „აუდიტორიას“ მის მიერ გამოკითხულ სტუდენტებზე. რა გარემოში და რა ფორმით გამოკითხეს ისინი? რას ფიქრობენ გადაცემაზე? და, მათი აზრით, გამოსატყვევებელი არაა ეკა ხოფერიას გადაცემაში დასმული კითხვები ახალგაზრდების განათლების დონეზე?

სტუმარი, ივნისი 16, 2010, 17:14:17
რამდენიმე კაცის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით



ზოგად ჭეშმარიტებას ადგენს ჩვენზე ზრუნვით გადაღლილი, სახედაქმარებელი, ყელამდე ნაგავში რბილად მოკალათებული, საკუთარ შხამში დამხრჩვალნი, ორდიპლომიანი საზოგადოება! ჩვენ კი დალტონიკები ვართ, რადგან არ ვეთანხმებით საზოგადოებრივ კონსენსუსს ფერებზე თაობაზე. დაუნებიც ვართ, რადგან ჩვენს სამყაროში არ არსებობს გრავიტაცია და ვაშლი ძირს მხოლოდ იმიტომ ვარდება, რომ ყველა მინაზე მიჯაჭვულ ნიუტონს დაეცეს.

სტუმარი, ივნისი 15, 2010, 15:20:55
მე პირადად უცებ არ გამახსენდა, ვინ იყო ლექსის ავტორი და დაფიქრდი: ილია თუ აკაკი? არადა, წაკითხული მაქვს: კამიუ, კაფკა, პრუსტი, სარტრი. არ ვიცი, ეს ახალგაზრდები კითხულობენ ან წაკითხავენ თუ არა ცხოვრებაში ხარისხიან ლიტერატურას, მაგრამ საინტერესოა, ლელა წურნუშიას რა აქვს წაკითხული, ან თუნდაც ჯანსუღ ჩარკვიანის საყვარელი მწერალი რომელია.

P.S. აღმოვაჩინე, რომ ზუსტად არ მახსოვს, რომელ ნელს დაიბადნენ ილია, ვაჟა და აკაკი (ისევე როგორც კამიუ, კაფკა, პრუსტი). მაგრამ, საბედნიეროდ, ამით ჩემს ინტელექტს არაფერი აკლდება. მთავარია, ახალგაზრდებს სწორი ფასეულობები ჩამოუყალიბდეთ, მაგრამ არ ვიცი, რამდენად არის ეს დამოკიდებული ილიას შემოქმედების ზეპირად ცოდნაზე.

რედაქციისთვის: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტიკური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი შურნაღისძე: მათი ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანტონ თევაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე, ნინო რობაქიძე, იავო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუზრიკიძე
 კონტრბუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადია, კახა თოლორაძე, გიო ახვლედიანი, ლამა ბულაძე, სანდრო ნავერიანი
 რედაქციისთვის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე
 გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
 გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
 სსპა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია.
 ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
 ბეჭდვა: სტამბა „ფაფორიტი“. მისამართი: თბილისი, წუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
 გამოცემის კვირამე ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
 www.liberali.ge



რადიო „ნაცნობი“ გეკავტიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა





ვიზის მიღება ბამახივდება

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვიზების გაცემის პროცედურა გამარტივდება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, სავიზო განაცხადის განხილვის მოსაკრებელი 35 ევრომდე შემცირდება, 12 კატეგორიის პირები კი ამ გადასახადისგან საერთოდ გათავისუფლდებიან. გარდა ამისა, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ვიზების მიღების პროცედურა 22 კატეგორიის პირთათვის გამარტივდება. ასევე, 11 კატეგორიის პირთათვის გათვალისწინე-

ბულია 1-წლიანი, მრავალჯერადი ვიზის მიღება, თუ მათ წინა წელს უკვე მიღებული აქვთ თუნდაც ერთი ვიზა და ეს ვიზა წესების დარღვევის გარეშე აქვთ გამოყენებული. ამის შემდეგ ამ პირებს უფლება ექნებათ, მიიღონ 2-დან 5 წლამდე მრავალჯერადი ვიზა. გარკვეული კატეგორიის პირებზე მრავალჯერადი ვიზა 5 წლამდე მოქმედების ვადით პირდაპირ შეიძლება გაიცეს. შეთანხმება რეადმისიის შესახებ შეთანხმებასთან ერთად შევა ძალაში მათი ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ.

ჩინო მხოლოე ჩაითუნაე

2011 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს კინოთეატრებში ნებისმიერი ტიპის ფილმის ჩვენება მხოლოდ პირველადი წარმოების ენაზე იქნება შესაძლებელი. პარლამენტმა „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები უკვე დაამტკიცა. ცვლილების თანახმად, ფილმები ან სავალდებულო ქართულენოვანი სუბტიტრები თუნდა გავიდეს, ან – ქართულად გახმოვანებული. კანონის დამრღვევებს ჯარიმის გადახდაც მოუწევთ, პირველ ჯერზე – 1500 ლარის, განმეორების შემთხვევაში – 3000-ს, და მესამედ ან მეტჯერ დამრღვევი კი 10 ათას ლარს გადაიხდის.

IT-ოფოხოეი სანახოთველოში

საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მომუშავე უცხოური კომპანიებისთვის საქართველო გადასახადებისაგან თავისუფალ ზონად იქცევა. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. ნებისმიერი კომპანია, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს და საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისთვის კომპანიას დააარსებს, მინიმალურ გადასახადს გადაიხდის. მთავრობამ ასევე „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შესახებ“ კანონპროექტიც განიხილა, რომელიც, პრემიერ-მინისტრის თქმით, IT-ს განვითარებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.



მოსკოვ-სხინვანის ხანი შთანხმება

მოსკოვმა და ცხინვალმა როკის გვირაბთან ქვემო ზარამაგი-როკის პუნქტის გახსნის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. ამ დოკუმენტს პეტერბურგში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მოწერა ხელი. მისი მიხედვით, პუნქტზე მრავალმხრივი საავტომობილო სატვირთო-სამგზავრო მიმოსვლა იქნება. შეთანხმებაზე რუსეთის მხრიდან ხელისმომწერი სახელმწიფო საზღვრის მოწყობის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელის, დიმიტრი ბეზდელის განცხადებით, აღნიშნული პუნქტი ამჟამადაც მუშაობს და შეთანხმება მხოლოდ მის ლეგალიზებისას ახდენს. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასეთივე პუნქტი მამისონის ულელტეხილზეც უნდა გაიხსნას, თუმცა ამ შეთანხმებაში მამისონის ნახსენები არ იყო. შეთანხმება ხუთწლიანია და მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით ავტომატურად გაგრძელდება, თუ რომელიმე მხარე მისი შეწყვეტის განზრახვის შესახებ მეორე მხარეს თვით ადრე არ შეატყობინებს.

ჩისხვები

200 ათასი ლარის ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნება ყირგიზეთსა და უზბეკეთში საქართველოდან.

40 მილიონი ლარით შემცირდა საქართველოს წლევანდელი საპრივატიზაციო გეგმა.

სხიჩა საქართველოში

უამინდობამ და წვიმის შემდეგ ადიდებულმა მდინარეებმა საქართველოს რეგიონები – კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სვანეთი და რაჭა განსაკუთრებით დააზარალა. სტიქიის გამო, მესტიის რაიონის თვრამეტი სოფელი გარესამყაროს მოწყდა და მოსახლეობა რამდენიმე დღე სასმელი წყლისა და პროდუქტის გარეშე დარჩა. გადაუღებელი წვიმებისგან ადიდებულმა მდინარეებმა ნეკრესის ხეობასა და ჭუბურში რამდენიმე კილომეტრის მონაკვეთზე ხიდები და სოფლებთან დამაკავშირებელი გზა წაიღო. დაზიანდა ელექტროგადამცემი ბოძები, წყლის მილები. მდინარეები რაჭაშიც ადიდდა. ონის გზაზე მენყერი ჩამონვა და მოძრაობა შეფერხდა. მენყერი ჩამონვა თიანეთის რაიონის სოფელ შარახევშიც. მისგან გამონვეული საფრთხის გამო, რამდენიმე ოჯახი სოფლიდან გაასახლეს. გეოლოგები აცხადებენ, რომ „ტერიტორია ისე დაიშლამა და იმხელა მასა წამოვიდა, რომ პროცესი დიდხანს გაგრძელდება“. უამინდობა და ადიდებული მდინარეები ხიდებისა და გზების აღდგენის სამუშაოებს ხელს უშლის და მათი შეკეთება ვერ ხერხდება.



ფოტო: ალანა ვალოანი

ხაჩაშოვს საქართველოს ბაიასაქმე

ესპანეთის მინისტრთა საბჭომ საქართველოს მოთხოვნა გაითვალისწინა და კრიმინალური ავტორიტეტის შაქრო კალაშოვის საქართველოში ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება ესპანეთის ნაციონალურმა სასამართლო კოლეგიამ უნდა დაამტკიცოს. შემდეგ საკითხი კვლავ მინისტრთა საბჭოში დაბრუნდება და იქვე განისაზღვრება კალაშოვის საქართველოსთვის გადაცემის ვადაც. მიუხედავად იმისა, რომ კალაშოვი 20 მილიონი ევროს გადახდის შემდეგ პირობით იყო გასამართლებული, საქართველოს მოთხოვნის შემდეგ ესპანელმა მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მისი მიმალვის საფრთხე არსებობდა და კალაშოვი 6 ივნისს მარბელში ისევ დააკავეს. ექსტრადიციის პროცესის დასრულებამდე კალაშოვი პატიმრობაში ესპანეთში დარჩება.

101 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა ჩამოაწერა „ჯეოსელს“ ფინანსთა სამინისტროს დაგების საბჭომ.

სიტყვები



„პუტინი ჩემი კერპია“.

რამზან კალიდროვი

17 ივნისი, PCH („Русская Служба Новостей“)

„საქართველო დედამიწაზე მდებარეობს და არა მთვარეზე. ამიტომაც ლარის კურსის ცვალებადობა გამოიწვია დოლარისა და ევროს ცვალებადობამ“.

კახა ბაინდურაშვილი

18 ივნისი, თბილისი

„ხშირად ამბობენ, რომ აშშ-მ რუსეთთან ურთიერთობას შესწირა ცენტრალური ევროპის უსაფრთხოება, ჩვენი მეგობარი საქართველოსა და ადამიანის უფლებები. მე ასე ვიტყვოდი, – ეს არასწორია“.

ფილიპ გორდონი

16 ივნისი, ვაშინგტონი

„ირაკლი ალასანიას არ აკლია პოლიტიკოსის თვისებები, მაგრამ პოლიტიკაში როგორც მგელი რომ ჩამოყალიბდე, ამას დრო სჭირდება“.

ლევან ბერძენიშვილი

17 ივნისი, თბილისი

„პუტინთან ურთიერთობა, ფორმალური თვალსაზრისით, ძალიან შეიცვალა, პირადი თვალსაზრისით კი, იმედი მაქვს, თითქმის არ შეცვლილა“.

დმიტრი მედვედევი

17 ივნისი, Wall Street Journal

215 მილიონი ლარით გაიზარდა საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.



ჰიხვედი დღე სახეხუცი

„დღეიდან მარტოები აღარ ხართ“, – ასე მიმართა პირველ სხდომაზე ახალი მონვევის საკრებულოში უმრავლესობის წევრებს ქრისტიან-დემოკრატმა ინგა გრიგოლიამ. ახალ საკრებულოს სულ 50 წევრი ჰყავს, მათგან 11 ოპოზიციური პარტიებიდანაა, დანარჩენი კი – „ნაციონალური მოძრაობიდან“.

თბილისის ახალი სახეხეხელო

საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა, მანამდე კი თვითმმართველ ორგანოს ახლადარჩეულმა ქალაქის მერმა 120-დღიანი სამოქმედო გეგმა გააცნო.

ნათია ახალაშვილი

საკრებულოს პირველ სხდომაზე დღის წესრიგის მიხედვით განსახილველი 28 საკითხი იყო. ზაალ სამადაშვილს „კარგი გამოცდილება“ დაუფასდა და 36 ხმით ის საკრებულოს თავმჯდომარე ხელახლა რამდენიმე წამში გახდა. მისი მოადგილის პოსტი კი ქალაქის ყოფილმა ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა დაიკავა.

საკრებულომ 6 დროებითი და 6 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე აირჩია. მართალია, ოპოზიცია თავმჯდომარეების პოსტების გადაწინაღობის პროცესში ცვლილებების შეტანას შეეცადა, მაგრამ ამ პროტესტმა მხოლოდ დრო გაიყვანა და შედეგი კი არ მოჰყოლია. „ნაციონალურ მოძრაობას“ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ 12 ადგილიდან ოპოზიციისთვის 2 უნდა დაეთმო. ოპოზიციამაც შეთავაზებული ადგილები სულ უარაფრობას არჩია და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ალასანიას თანაპარტიული ვიქტორ დოლიძე გახდა, ურბანული დაგეგმარების და ძველი თბილისის რეაბილიტაციის კომისიის კი – „მრეწველი“ გიორგი ტყემალაძე. ოპოზიციის კრიტიკის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი არც ერთი კანდიდატურა არ ჩავარდნილა. მიუხედავად იმისა, რომ ახალ საკრებულოში, წინასვან განსხვავებით, სამის ნაცვლად, უკვე ოპოზიციის 11 წარმომადგენელია, საეჭვოა, რომ მათ საკრებულოში მიმდინარე პროცესებზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეძლონ.

საკრებულოს პირველი სხდომის პარალელურად, პარლამენტში „თბი-

ლისის შესახებ“ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე მსჯელობდნენ. ეს ცვლილებები პავლე კუბლაშვილის, ლაშა თორდიასა და ვახტანგ ბალავაძის მიერ მომზადდა. ახალი პროექტის თანახმად, რომელსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს, საკრებულოს თავმჯდომარეს, გარდა პირველი მოადგილისა, კიდევ ორი მოადგილე ეყოლება. გიგი უგულავამ უკვე ხმამაღლაც თქვა, რომ ამ სკამებს ოპოზიციის წარმომადგენლები დაიკავებენ. თუმცა, საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მხოლოდ პირველი მოადგილე მოაწერენ. შესაბამისად, გაუგებარია, რა ფუნქცია ექნებათ ახალ მოადგილეებს.

ფრაქციების საკითხი ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ გაირკვა. ჯერ მხოლოდ ყოფილმა „ალიანსელებმა“ – დავით საგანელიძემ, ვიქტორ დოლიძემ და ზურაბ აბაშიძემ შეიტანეს განაცხადი, რომ სამკაცრიანი ფრაქციის „ჩვენი თბილისის“ ჩამოყალიბება სურთ. მართალია, ისინი მოელოდნენ, რომ ყველა ყოფილი „ალიანსელი“ იქნებოდა ამ ფრაქციაში, მაგრამ ამ ფრაქციას ნათელა მაჭავარიანი და თინა ხიდაშელიც შეუერთდებიან თუ არა, ეს ხიდაშელის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი; ასევე უცნობია სხვა ოპოზიციის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებაც.

საკრებულოს შენობაში დათქმულ დროს მისულ ჟურნალისტებს, ახლად არჩეული მერის ნაცვლად, საკრებულოს ფოიეში დასრულებული ალა-

ფურშეტი და რამდენიმე შტატივი დახვდათ. „ზუსტ დროს მოვედი და როგორ, გიგიმ უკვე დაამთავრა?“ – იკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. მერი ზუსტად რომელ საათზე მივიდოდა საკრებულოში, ტრადიციულად, მხოლოდ რამდენიმე ტელეარხს უთხრეს.

უგულავას გამოსვლაში ახალი ის იყო, რომ 120-დღიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. მისი თქმით, ამის შემდეგ ამომრჩევებს ანგარიშს ყოველ 120 დღეში ჩააბარებს.

მთავარ პრიორიტეტად და კონკურენტად მერი ისევ დასაქმებას მიიჩნევს. დაინტერესებულები ისევ უფასოდ ისწავლიან კომპიუტერსა და ინგლისურს. უგულავას თქმით, დედაქალაქში სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის მხარდაჭერით, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც დაიწყება. აშენდება ახალი ხიდი „ვეფხისა და მოყმის“ ძველთან, ახალი გვირაბი – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რკინიგზას ქალაქის გარეუბანში გადაიტანენ, თბილისის ზღვაზე რეკრეაციული ზონა მოეწყობა, დასრულდება მეტროსადგური „უნივერსიტეტი“.

ასეა თუ ისე, ახლად არჩეული მერი საქმიანობას აგრძელებს, საკრებულოს ძველი წევრები კი ახალ წევრებთან ერთად გააგრძელებენ მუშაობას. თუმცა, პირველი სხდომიდანვე გამოჩნდა, რომ საეჭვოა, თუნდაც 11-კაციანი ოპოზიციის პირობებში, დედაქალაქის თვითმმართველმა ორგანომ, კობა დავითაშვილის შეფასებით, „ნოტარიუსთა“ სტატუსი მოიპოროს. **■**

"ალიანსიდან" ალასანიძე

„გარღვევა“ – ასე უწოდებენ სააკაშვილის ვიზიტს საფრანგეთში, თუმცა მის კონკრეტულ შედეგებზე არავინ საუბრობს.

მაია ნიკლაური



ირაკლი ალასანია

ფოტო: ლევან ხარაძე/საპრესო

რი წყაროს, „ალიანსის“ ერთ-ერთი წევრის ინფორმაციით, ირაკლი ალასანია 2009 წლის აპრილის აქციებში მათთან შეუთანხმებლად ჩაერთო.

ალასანიას „საკნების აქციაზე“ დგომით იმის ჩვენება სურდა, რომ ხელი-სუფლებასთან გარიგებას არ გეგმავს და, მოუხედავად მისი კონსტრუქციული პოზიციისა, მასაც შეუძლია რადიკალური ნაბიჯების გადადგმა.

„მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკელები“ საპროტესტო აქციაში ჩართვას არ აპირებდნენ. ალასანიამ კი მათი გეგმები არ გაითვალისწინა. პარტნიორებს ერთობის შესანარჩუნებლად სხვა გზა არ დარჩათ – „ალიანსი“ ქუჩის აქციებში ჩაერთო.

თუმცა, მალევე, „ალიანსმა“ პირველმა უპასუხა პრეზიდენტის შეთავაზებას და ქუჩიდან საარჩევნო გარემოს ცვლილებებისთვის მუშაობაში გადაინაცვლა.

წინასაარჩევნო პერიოდში „ალიანსში“ ერთობა კიდევ რამდენჯერმე შეირყა. ირაკლი ალასანიამ პრორუსულ „ეროვნულ საბჭოსთან“ და ლევან გაჩეჩილაძესთან მერობის ერთიან კანდიდატზე შესათანხმებლად მოლაპარაკება დაიწყო. ამის გამო, მას პარტნიორები ღიად აკრიტიკებდნენ. თანამშრომლობა ალასანიასა და ნოლაიდელის პოლიტიკურ ძალას შორის ვერ შედგა, უშედეგო შეხვედრებმა კი ცხადი გახადა „ალიანსის“ შიდა პრობლემები.

მალე სოზარ სუბარმა, რომელიც „ალიანსის“ პარტიული სიის პირველი ნომერი იყო, ჯერ – საარჩევნო სია, არჩევნების შემდეგ კი „ალიანსი“ დატოვა. მასთან ერთად გაერთიანება ირაკლი ბათიაშვილმა და კოკა გუნცაძემაც დატოვეს.

„ალიანსი საქართველოსთვის“ დაიშალა. ამის შესახებ 15 ივნისს გაერთიანების ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

ალასანია ამბობს, რომ „ალიანსის“ სახით ისეთი „პოლიტიკური მანქანა“ ვერ ჩამოაყალიბა, როგორც სურდა. ოთხი სუბიექტისგან დაკომპლექტებულ ერთობაში, რომელმაც თვითმმართველობის არჩევნებში მხოლოდ 9,19% მიიღო, ყოველთვის რთული იყო შეთანხმების მიღწევა. ყოფილი თავმჯდომარის თქმით, „ალიანსს“ არ ჰქონდა რეგიონული პოლიტიკური ქსელი, არ იყო პარტიული დისციპლინა, მიღებული გადაწყვეტილება დროულად არ მიდიოდა შემსრულებლამდე, ლიდერები ერთმანეთს ტელეეკრანიდან ესაუბრებოდნენ.

„იყო აღრევა პოლიტიკურ მესიჯებში, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა. ასეთი რამ ჩემს პარტიაში

არ მოხდება!“ – განაცხადა ალასანიამ.

„ალიანსში“ შემავალ რესპუბლიკურ პარტიასა და „ახალ მემარჯვენეებს“ ერთობის დაშლა არ სურდათ. პირიქით, ისინი „ალიანსის“ ერთ პარტიად ქცევას ემხრობოდნენ. თუმცა იძულებული გახდნენ, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებას დათანხმებოდნენ.

„ირაკლი ალასანია შემდგომი პოლიტიკური წარმატებების წინაპირობად საკუთარი პარტიის მშენებლობას და გაძლიერებას მიიჩნევს. მან გადაწყვიტა, რომ მეტი თავისუფლება სჭირდება. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ და წარმატებას ვუსურვებთ“, – წერია რესპუბლიკური პარტიის ოფიციალურ განცხადებაში.

პირველი ბზარი ალასანიასა და მის პარტნიორ პარტიებს შორის 2009 წლის აპრილში, „ალიანსის“ შექმნიდან ერთ თვეში გაჩნდა. „ლიბერალის“ ანონიმუ-

„მგონია, რომ ყველაზე დიდი დრო პოლიტიკოსებმა ერთმანეთთან ლაპარაკში დავკარგეთ. ყველაზე ნაყოფიერი მხოლოდ ის თვე-ნახევარი იყო, როცა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩეველს ვხვდებოდით“, – განაცხადა ალასანიამ არჩევნების შემდეგ. მან თბილისში ამომრჩეველთა ხმების 19 პროცენტით დააგროვა.

ხმების დათვლის შემდეგ ირაკლი ალასანია არჩევნების შედეგებს მთლიანად „ალიანსის“ გამარჯვებად განიხილავდა და ამ ერთობას ნომერ პირველ ოპოზიციურ ძალას უწოდებდა, სამომავლო გეგმებსაც „ალიანსს“ უკავშირებდა.

თუმცა, მალე მან აზრი შეიცვალა და 30 მაისის არჩევნები საკუთარ გამარჯვებად მიიჩნია. როგორც ჩანს, „ალიანსსა“ და პირადად მის მიერ მიღებულ ხმებს შორის 10%-იანმა სხვაობამ ის დააწინაურა, რომ დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლია.

„მე ელექტორატის გარკვეული ნაწილი უკვე მიჭერს მხარს. ახლა მთავარია, იყოს კონსოლიდაცია და ამომრჩეველთა მხარდაჭერის ზრდა. ეს არის მთავარი ამოცანა ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის“, – განაცხადა ალასანიამ.

ახლა ირაკლი ალასანიას მეტოქე მხოლოდ ხელისუფლება აღარ არის. მის წინააღმდეგ კიდევ ორი ოპოზიციური ჯგუფია – ერთი მხრივ, ალასანიას მიერ უარყოფილი ნოლაიდელი, „ეროვნული საბჭო“ და ლევან გაჩეჩილაძე, მეორე მხრივ კი ისინი, ვისაც ალასანია „ალიანსს“ დაშლით გაემიჯნა.

მართო დარჩენილი ალასანიას მთავარი გამოწვევა საკუთარი ძლიერი გუნდის შექმნაა. მით უმეტეს, რომ მას არ აქვს არც პარტიული სტრუქტურის აწყობის და მართვის გამოცდილება და არც – საჭირო ფინანსები. პარალელურად კი, ირაკლი ალასანიას საკუთარი პოლიტიკით მხარდამჭერებისთვის იმის ჩვენება მოუწევს, რომ ის არც ხელისუფლებასთანაა გარიგებული, მაგრამ არც პრორუსული ოპოზიციის ნაწილია. **■**



ბრონისლავ კომოროვსკი



იაროსლავ კაჩინსკი

საქართველოს ხიჯვები ჰოლონეთში

თამარ კაკაბაძე

20 ივნისს პოლონეთი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. 10 კანდიდატიდან გამარჯვების შანსი მხოლოდ ორს აქვს: სეიმის მარშალს, სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს ბრონისლავ კომოროვსკის, რომელიც ლიბერალურ-კონსერვატიულ პარტიას – „სამოქალაქო პლატფორმას“ წარმოადგენს, და მემარჯვენე პარტიის „კანონი და სამართლიანობის“ ლიდერს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს, იაროსლავ კაჩინსკის.

„გაზეტა ვიბორჩას“ გამოკითხვების მიხედვით, კომოროვსკის გამოკითხულთა 48 პროცენტი უჭერს მხარს, მის მეტოქეს – 34. სხვაობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ გამარჯვებული პირველივე ტურში გაირკვეს. მეორე ტური 4 ივლისს გაიმართება.

58 წლის კომოროვსკი არისტოკრატულ ოჯახში დაიბადა. პოლონური საზოგადოება მას კომუნისტური წყობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად იცნობს. კომოროვსკის მთავარ ნაკლად უთვლიან ქარიზმის არქონას. „ის ალბათ კარგი პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი შთაბეჭედავი არ არის“, – ამბობს პოლონელი ანალიტიკოსი კმიშტოვ ბობინსკი.

ულტრაკონსერვატორ კაჩინსკის (61 წელი) მოულოდნელი პოლიტიკური წარმატება წინასაარჩევნო კამპანიას მეტ დრამატიზმს ჰმატებს. ევროპაში კაჩინსკის იცნობენ როგორც პოლიტიკოსს, რომელიც ტრადიციული კათოლიკური ღირებულებების ადგენისა და კომუნისტური წარსულის ნაშთების აღმოფხვრისთვის იბრძოდა. ამ ბრძოლაში იგი სშირ

შემთხვევაში იმდენად რადიკალური იყო, რომ საკუთარი მომხრეების გალიზიანებასაც კი იწვევდა.

სმოლენსკის ავიაკატასტროფამდე, რომლის დროსაც პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი დაიღუპა, კომოროვსკი ბევრად უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ძმები კაჩინსკები. დღეს ყოფილი პრემიერის სასარგებლოდ ე.წ. თანაგრძნობის ვოტუმიც მუშაობს. წინასაარჩევნო კამპანიამ სმოლენსკის კატასტროფის ჩრდილქვეშ ჩაიარა. ლიბერალი კანდიდატი კომოროვსკი კერძო მედიცინის განვითარების მომხრეა, თუმცა ამავე დროს სახელმწიფო სამედიცინო სექტორის შენარჩუნებასაც აპირებს. მისი წინასაარჩევნო დაპირებაა საპენსიო სისტემის რეფორმა.

ულტრაკონსერვატორი კაჩინსკი ცალსახად სახელმწიფო ჯანდაცვის შენარჩუნების მომხრე და სანარმოების პრივატიზაციის წინააღმდეგია.

თუმცა, ვინც უნდა გახდეს პოლონეთის შემდეგი პრეზიდენტი, მისი უფლებამოსილებები ძალზე შეზღუდული იქნება, რადგან პოლონეთში რეალური ძალაუფლება მთავრობის ხელშია. ერთადერთი ბერკეტი, რომელსაც ქვეყნის მეთაური ფლობს, პარლამენტის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლებაა. თუ კომოროვსკი გამარჯვებს, პოლონური სეიმი, სადაც მანდატების დიდი ნაწილი „სამოქალაქო პლატფორმას“ ეკუთვნის, უფრო თამამად გაატარებს ქვეყნის მოდერნიზაციისთვის აუცილებელ რეფორმებს, ისე, რომ კონკურენტი პარტიის წარმომადგენელი პრეზიდენტის მხრიდან მუდმივი ვეტოს შიში არ ექნება. **■**

მომხრე

გია მურღულია

24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ხშირად მეკითხებიან ხოლმე, – რომელ სკოლაში ნაცივანო ჩემი შვილი? როგორ უნდა შეაფასოს ადამიანმა, ან საზოგადოებამ, ან სახელმწიფომ სკოლა, რომ ამ კითხვას უპასუხოს? რას ნიშნავს, როდესაც ამბობენ, რომ ეს კარგი სკოლაა, ან ამ სკოლას პრობლემები აქვს?

მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემებში სკოლების შეფასება ავტომატურად იგულისხმება. მაგალითად, ინგლისში ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ, ყველა სკოლა – კერძო თუ საჯარო, საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოდის: საზოგადოებას საკუთარ თავს წარუდგენენ თვითონ სკოლები: როგორია მათი გარემო, როგორია მათი პედაგოგიური პრინციპები, სერვისები და პროექტები, როგორი წარმატებით მონაწილეობენ ამ სკოლის მოსწავლეები ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონკურსებში. ეს სკოლების შეფასების ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმია, რაც ჩვენ დღემდე არ გვქონდა, ახლა გვექნება და ეს არის ძალიან კარგი.

მეორე საკითხია, რამდენად ვიპოვით ნორმალურ საშუალებებს ამ მიზნის მისაღწევად, იდეის დისკრედიტაცია რომ არ მოხდეს. ამაზე, ბუნებრივია, ყველამ ერთად უნდა ვიმსჯელოთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს სისტემა ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სკოლებს შორის. ახლა, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ სწორედ მისი სკოლაა მაგარი. მეც შემიძლია ათასი ზღაპარი გითხრათ ჩვენი სკოლის შესახებ, მაგრამ სულ სხვა თვალთ შეხედავთ ჩვენი სკოლის სიკეთეს, თუ იქნება ოფიციალური შეფასებითი დოკუმენტი, რომელიც უამრავი კრიტერიუმის გათვალისწინებით დაინერგება.

ეს ხელს შეუწყობს თვითკრიტიკულობას და თვითშეფასების კულტურის ამალგებასაც და იმას, რომ საკუთარი თავის ობიექტურ შეფასებას მივეჩვიოთ.

რაც შეეხება მშობლების სურვილს, მათი შვილი აუცილებლად მაღალვარსკვლავიან სკოლაში მოხვდეს, ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება დიდი პრობლემა: ყველა სკოლას ბავშვების მიღებისთვის განსაზღვრული ფართი და შესაძლებლობები აქვს. მე თუ უკვე შევავსე სკოლა, ერთ ბავშვსაც ველარ დავამატებ. ასე რომ, ეს პრობლემა ავტომატურად დარეგულირდება. ხოლო ისინი, ვინც ამ სარეიტინგო სისტემაში კორუფციის კეთების საშუალებას ხედავენ, ნებისმიერ სხვა გარემოშიც მოიფიქრებენ რამეს.

ვფიქრობ, რომ ეს არის კარგი იდეა, მაგრამ მას დახვეწილი და ეფექტური რეალიზება სჭირდება. ■



მობნობთ საჯარო სკოლებს სისტემაში

■ დარწმუნებული ვარ, რომ ეს სისტემა ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სკოლებს შორის. ეს ხელს შეუწყობს თვითკრიტიკულობას და თვითშეფასების კულტურის ამალგებასაც.



მონინალმდეგე

ქეთევან თოფაძე

ამერიკული აკადემიის პედაგოგი

სკოლებს შორის კონკურენციის გაზრდის იდეა მომწონს, მაგრამ ის, რასაც ეს სისტემა ითვალისწინებს, ჩემი აზრით, მინიმალურადაც არ გაზრდის სწავლის და პროფესიონალიზმის ხარისხს.

საბჭოთა დროს, როცა ბიბლიოთეკებს, ლაბორატორიებს მაშინ ალებდნენ, როცა შემომნებაზე მოდიოდა ვინმე, ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ვფიქრობ, იგივე მოხდება აქაც – ასეთ დაწესებულებებს, სწორ შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება და შინაარსს ეს დიდად არ შეცვლის.

ეს იქნება კორუფციის ძალიან დიდი წყარო: მშობელი გააკეთებს ყველაფერს, რომ მისი შვილი მოხვდეს 10-ვარსკვლავიან სკოლაში. დაბალვარსკვლავიანი სკოლები კი ფაქტობრივად დაიცლება. თვითშეფასების დროს დირექტივაც ორიენტირებული იქნება, რომ მაღალი ქულები დაწეროს, მაგრამ შინაარსი ხომ არ გაუმჯობესდება ამით? ასეთ სკოლებში გარკვეული გარიგებების საგანი შეიძლება გახდეს მასწავლებლების მიღებაც.

გარდა ამისა, გარემო სკოლაში საკმაოდ სტრესული და დაძაბული იქნება როგორც ბავშვებს, ისე მასწავლებლებს შორის. ლიბერალური მიდგომა, რაც თანამედროვე პედაგოგიკის ძირითადი მიმართულებაა, შეიძლება მთლიანად გამოგვეცალოს ხელიდან. მოსწავლეები და მასწავლებლები მხოლოდ ქულებზე იქნებიან ორიენტირებულნი. ეს იქნება ერთი დიდი მარათონი რაღაც ვარსკვლავის მოსაპოვებლად და არა – რეალურად შინაარსზე ორიენტირებული სწავლა და ლიბერალური განათლება. მოსწავლეებს ნაკლებად ექნებათ საშუალება, რომ თავიანთი შესაძლებლობები და ინტელექტი გამოავლინონ. ისინიც მხოლოდ ნიშნებზე იქნებიან ორიენტირებული და ამ ტიპის არაჯანსაღი კონკურენციის გარემოში პიროვნული ზრდის საშუალება ნაკლებად ექნებათ სკოლებში.

ბრენდირების სისტემა მუშაობს დასავლეთში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ იქ, სადაც ამ ტიპის ბრენდირებები არსებობს, არის თავისუფალი საზოგადოება, სადაც არც ტოტალიტარული რეჟიმები ყოფილა და არც ის სიმახინჯეები, რაც საბჭოთა სისტემამ დაგვიტოვა. ის საზოგადოებები კი სხვანაირად განვითარდა, სხვა მენტალიტეტი და დამოკიდებულებები აქვთ როგორც პატიოსნების, ასევე პროფესიონალიზმის მიმართ.

თუმცა, არ გამოვირიცხავ, რომ შესაძლოა, კონკურენტუნარიანობა გარკვეულწილად გაიზარდოს, მაგრამ რამდენად ჯანსაღი იქნება ეს კონკურენცია და რამდენად აამალებს პროფესიონალიზმის და სწავლის ხარისხს, ეს საკითხავია. ამაზე უფრო მეტი ფიქრია საჭირო და უფრო ნატიფი ფორმების შერჩევა. ■

თუ ახა ის სახეიხინბო მა?

■ **მოსწავლეები და მასწავლებლები მხოლოდ ქულებზე იქნებიან ორიენტირებულნი. ეს იქნება დიდი მარათონი ვარსკვლავის მოსაპოვებლად და არა – რეალურად შინაარსზე ორიენტირებული სწავლა.**



პაციენტი ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, თბილისი, ივნისი 2010

ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

კოსპიტალური სექტორი

ონკოლოგიური სსიბმე

ონკოლოგიის ცენტრი ჩიხშია. ხელისუფლება საავადმყოფოს ვერც ყიდის და ვერც მის განვითარებას ახერხებს.

ეკა ქიტანავა

ცხრასართულიანი შენობის ჟანგინანი კარი ვარდისფრადაა გადაღებილი. შენობაში პირველ სართულზე მარცხნივ სამლოცველოა. აქ ოთხშაბათობით მამა ბაქარი ჯანმრთელობის პარაკლისს მართავს. მარჯვნივ იყიდება ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ხალხური მედიცინის არქივიდან: „მამაკაცური დაავადებების მკურნალობა“ და „ვაშლის ძმრის საოცრებანი“.

ლიფტი მუშაობს, თუმცა ფასიანია და ადამიანების უმეტესობა, მასიურ, მონაცრისფრო ბეტონის კიბეებს ფეხით მიუყვება. პალატებამდე, ნახევრად ჩაბნელებული კორიდორები უნდა გაიარო. ირგვლივ ჩამოფხეკილი კედლები, ალაგ-ალაგ აგლეჯილი ლინოლიუმი, ფანჯრის მტვრიანი მინები, გადამწვარი ელექტრო-მავთულები და დატბორილი საპირ-ფარეშო გხვდება. პალატებში ხშირად გაიკონებთ მსგავს დიალოგებს: „გუშინ „შტეპცელზე“ კინაღამ ხელი ამიფეთქდა“, „ასეთ პირობებში ექიმებიც მეცოდება“, „აქ რომ პაციენტებს არ მოეფერო, ფანჯრიდან გადახტომა მოუნდებათ“.

ეს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრია, სადაც ყოველ წელს 10 000-მდე ონკოპაციენტი მკურნალობს, 3 000-ს კი ოპერაცია უტარდება.

„საკავშირო მნიშვნელობის ცენტრი“ 64 წლის წინ დაარსდა. მას შემდეგ დაინგრა საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად ჯანდაცვის სისტემაც, მაგრამ ძველ მოდელს მორგებული, ამორტიზირებული შენობა, რომელიც თითქმის ოცი წელია, მთლიანად არ გამთბარა, მაინც უცვლელად დგას.

წლების განმავლობაში სახელმწიფო ვერაფერი გააკეთა ცენტრის განსავითარებლად. ხელისუფლება ამ საავადმყოფოს უყურებდა ისე, როგორც ექიმი – განწირულ პაციენტს, რომელსაც სიცოცხლეს ქირურგიული ჩარევაც კი ვერ შეუნარჩუნებს.

ონკოცენტრის ბაზაზე ხუთი კერძო კლინიკა არსებობს. არაკომერციულ და კერძო განყოფილებებს საერთო დერეფნები ჰყოფს. კერძო ნაწილში პალატები სუფთაა, კედლები – შეღებილი. პაციენტებს სახლიდან სუფთა თეთრულისა და ტელევიზორის წამოღება არ უწევთ. ამიტომაც სტანდარტულ პირობებს, რომელსაც თანამედროვე საავადმყოფო უნდა აკმაყოფილებდეს, აქ პაციენტები ფუფუნებად აღიქვამენ.

აბდომინური განყოფილების კერძო ნაწილში 59 წლის ქალბატონს კუჭის კიბოს ოპერაცია ცოტა ხნის წინ გაუკეთეს. ახლა სიცხე აწუხებს, რადგან ფილტვების ირგვლივ სითხე დაგროვდა და ორგანოს აწვევა. ქალბატონის ოჯახმა ოპერაციასა და მკურნალობაში 3200 ლარი გადაიხადა – 600 ლარით მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ პალატაში იხდიან. „მერჩია, უკანასკნელი გროშები მომეგროვებინა, რომ ჩემი ახლობელი იმ ანტისანიტარიაში არ დამეწვინა. ისედაც დღეები დათვლილი გვაქვს!“ – ამბობს პაციენტის ნათესავი.

„სახელმწიფო ონკოლოგიაზე განსაკუთრებულად ზრუნავს“, – აცხადებს ცენტრის დირექტორი რეზო გაგუა, რომლის კაბინეტის კედლებზე სხვადასხვა დროს სამეცნიერო კონფერენ-

ციებში მონაწილეობის სერტიფიკატები გაკრული, წიგნების თაროზე კი მიხეილ სააკაშვილის წიგნი და ჩარჩოში ჩასმული პრეზიდენტის პორტრეტი დევს.

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბიუჯეტი წელიწადში 6 მილიონ ლარამდეა. საავადმყოფოს მენეჯერებს მხოლოდ ამ თანხის განკარგვა შეუძლიათ.

„მენეჯმენტისგან არ უნდა ველოდოთ, რომ რაიმეს შეცვლის, პრობლემის მოგვარების გასაღები მთავრობას უდევს, რომელსაც ასეთი დიდი შენობის შენახვა ყოველთვის ძვირი უჯდება. ონკოლოგიური უძირო ჭასავით იყო, ფული რაც არ უნდა ჩაგეყარა, შედეგი არასდროს ჩანდა“, – აცხადებს თავისუფალი უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, 2004-2007 წლებში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ვახტანგ მეგრელიშვილი.

2002 წელს ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურის გრძელვადიანი გეგმა დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში ძველი საავადმყოფოების გაყიდვის პროცესი დაიწყო. თუმცა, 2002 წლიდან მოყოლებული, ონკოლოგიის ცენტრს ინვესტორი არ გამოუჩნდა.

კახა ბენდუქიძის თქმით, ხელისუფლება, მისი მინისტრობის დროსაც ცდილობდა ცენტრის გაყიდვას, მაგრამ ამხელა შენობაში მინის ფასზე მეტს არც ერთი ინვესტორი არ იხდიდა.

ონკოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ კერძო ინვესტორი დიდ ონკოლოგიურ

ცენტრში ფულის ჩადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩათვლის მომგებიანად, თუკი იქ სამეცნიერო მიმართულებები განვითარებული და სამედიცინო ტურიზმის პოტენციალი არსებობს. თუმცა, ონკოცენტრს ამისთვის საჭირო ტექნიკური ბაზა არ გააჩნია.

ინვესტორის პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ განსაზღვრავს სახელმწიფო ონკოლოგიური ცენტრის ფუნქციას – დარჩება ძველი, ცენტრალიზებული ფორმით, თუ ონკოლოგიური განყოფილებები სხვადასხვა მრავალპროფილურ კლინიკაში გადანაწილდება.

„ამ შენობის ყველაზე დიდი პრობლემა მაინც სტიგმაა!“ – აღნიშნავს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე, – „ხალხი ყველაფრისთვის მზადაა, ოღონდ გამოკვლევაზე ონკოლოგიის ცენტრში არ წავიდეს. ასეთი ცენტრალიზებული ონკოლოგიური

კლინიკა არ უნდა არსებობდეს. როცა პაციენტი ონკოლოგიურისკენ იხედება, ჰგონია, რომ იქ აუცილებლად სასიკვდილო დიაგნოზს დაუსვამენ. სტიგმის პრობლემა ხელს უშლის დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენასაც“.

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მამოლოგიურ განყოფილებაში ერთადერთი პაციენტი წევს. ეს მაშინ, როცა ძუძუს კიბო საქართველოში გავრცელებით ერთ-ერთი პირველია.

38 წლის მარინა ურუმაშვილს ექიმებმა კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და ძუძუ მოკვეთეს. „აქ მოსვლის ყოველთვის მესინოდა, ამიტომ ძალიან დავავაგვიანე“, – ამბობს ურუმაშვილი.

იმ აზრს, რომ ცენტრალიზებული ონკოლოგიური საავადმყოფო ძველი სისტემის გადმონაშთია, ხელისუფლება იზიარებს. ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო ისიც, რომ 2009 წელს საქართვე-

ლოს მთავრობისთვის საჩუქრად გადაცემული ძვირად ღირებული, ულტრათანამედროვე სხივური აპარატი, რომელიც თავიდან ონკოლოგიურში უნდა დაემონტაჟებინათ, მოულოდნელად თბილისის პირველი საავადმყოფოს საუნივერსიტეტო კლინიკაში აღმოჩნდა.

„ჩვენი ცენტრის დაშლა მაშინ დაიწყო, როცა ეს აპარატი წაგვართვეს“, – ამბობს ექიმი ლაშა თურქიაშვილი.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოსავალი სწორედ ცენტრის, განყოფილებების და პერსონალის შემცირება და უფრო მცირე ზომის შენობაში გადასვლაა. „ამხელა კაპიტალის მფლობელი შეუძლებელია ეფექტურად მუშაობდეს“, – აცხადებს ვახტანგ მეგრელიშვილი.

დავით ძაგნიძე, რომელმაც ონკოლოგიური საავადმყოფოს ბაზაზე კერძო მამოლოგიური კლინიკა 1998 წელს გა-



პაციენტი ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, თბილისი, ივნისი 2010

ფოტო: თეონა ბაქრაძე/საქართველოს მთავრობის განცხადებით

ხსნა, ასევე ცენტრის დაშლის წინააღმდეგია.

„დასავლეთში სწორედ ახლა ცდილობენ ასეთი მრავალპროფილური სამეცნიერო-პრაქტიკული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ან არსებულის კიდევ უფრო გამსხვილებას. ჩვენი მთავრობა კი ცდილობს, ჯანდაცვის პრობლემები კერძო ბიზნესსა და ფარმაცევტულ კომპანიებს გადააბაროს, რაც სამედი-

ცინო მომსახურების ხარისხს დაბლა წევს, მეცნიერების განვითარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ მიმართულებით, საერთოდ არაფერი კეთდება“, – განმარტავს ძაგნიძე, რომელიც ახლა ნოტინგემის უნივერსიტეტში ძუძუს კიბოს საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობს.

მსოფლიოში ონკოლოგიური მომსახურების რამდენიმე მოდელი არსებობს:

საბჭოთა ცენტრალიზებულ მოდელში, რომელსაც ონკოცენტრი ეფუძნება, ყველანაირი ონკოლოგიური სერვისი ერთადაა თავმოყრილი. დასავლურ მოდელში, არსებობს სპეციალიზირებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, მაგრამ ძირითადად, ონკოლოგიური მკურნალობის სერვისი ზოგადი პროფილის კლინიკებშია გაერთიანებული.

„რომელი მოდელი ჯობია, ამაზე ერთმნიშვნელოვანი აზრი არ არსებობს“, – აცხადებს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი და ამჟამად გაერო-ს ფონდში აივ-ინფექცია შიდსის პროგრამის კოორდინატორი, ამირან გამყრელიძე.

„მე წინააღმდეგი ვიქნები ონკოცენტრის სრული განკერძოების ისევე, როგორც ვენინაღმდეგები ჰოსპიტალური სექტორის მთლიანად კერძო სექტორისთვის გადაბარებას, – დასძენს იგი, – ყველგან არის გარკვეული ბალანსი სახელმწიფოსა და კერძოს შორის. როგორც დაფინანსების, ასევე მფლობელობის შემთხვევაში. როგორც წესი, ეს ბალანსი ევროპაში ასეა განაწილებული – 60-80 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა, 20-30 პროცენტს კერძო მფლობელი ჰყავს“.

დასავლეთში ბევრია ისეთი კერძო კლინიკებიც, რომლებიც მოგებაზე ორიენტირებული არაა. მაგალითად, ასეთია მსოფლიოს უძველესი ნიუ-იორკის სლოუნ კეტერინგის ონკოცენტრი, რომელიც საქველმოქმედო ფონდს ეკუთვნის.

რა სახითაც არ უნდა დარჩეს ონკოლოგიის ცენტრი, სახელმწიფოს თბილისის ონკოლოგიური ცენტრის გადარჩენის ერთადერთ შანსად, მაინც პრივატიზება წარმოუდგენია. ონკოცენტრი მისთვის, დიდი ხანია, მძიმე ტვირთად იქცა. სახელმწიფოს მთავარი ამოცანა ასეთი მოძველებული კლინიკების გასხვისებაა. თუკი, „100 საავადმყოფოს“ პროექტი დროთა განმავლობაში რეალობად იქცა და საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა, 9-სართულიანი და 64 ათასი კვ.მ. ფართის მქონე ონკოცენტრი ამ ფორმით არსებობას ვეღარ შეძლებს. □



ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, ივნისი 2010

ახაფეხი ჰიხადი, მხოლოდ სხატისხიხა



მარკ მალენი

მთავრობამ უზრუნველყო, რომ გზებზე აღარ არის ორმოები, რომლებიც გვაფერხებდა, საჭიროა, ახლა ჩვენი სიცოცხლეს გადაარჩინოს – შემოიღოს უსაფრთხოების ღვედების გაკეთების საყოველთაო ვალდებულება და სიჩქარის შეზღუდვები.

თბილისის აეროპორტში ჩამოსვლა დიდებულია. მას აქვს ზუსტად ის ეფექტი, რაც ჩაფიქრებული იყო, რომ ჰქონოდა. ქვეყნის სტუმრებს ექმნებათ პირველი შთაბეჭდილება, რომ საქართველო მოდერნიზებული, კარგად ორგანიზებული ქვეყანაა. ვინც შემდეგ ტაქსით განაგრძობს გზას, ნახავს ისევე ძველ საქართველოს და ეს პირველი შთაბეჭდილება შეიცვლება.

დასავლეთი ევროპისა და ჩრდილოეთი ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში და დანარჩენი მსოფლიოს უმრავლეს ნაწილში, მანქანით მგზავრობისას იკეთებენ უსაფრთხოების ღვედს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ და ახლაც ქალაქის ტაქსებში მძღოლი პერსონალურ შეურაცხყოფად იღებს, თუ უსაფრთხოების ღვედს გაიკეთებ. ის ტაქსისტები, რომლებსაც მგზავრები აეროპორტიდან მიჰყავთ, ამ ჩვევას უკვე შეეჩვივნენ, მაგრამ მგზავრები ხედავენ, რომ მძღოლს

ღვედი არ უკეთია (მძღოლი ყოველთვის კაცია) და გრძნობენ, რომ მათი საქციელი ერთგვარი შეურაცხყოფაა. როდესაც მანქანა ჯორჯ ბუშის ქუჩას უახლოვდება, ის 140 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობას იწყებს.

განვითარებულ ქვეყნებში ტაქსები ამ სიჩქარით არასდროს დადიან. ეს ძალიან საშიშია მანქანაში მსხდომებისა და მის გარეთ მყოფებისთვისაც. ეს კანონსა-წინააღმდეგოა და ეს მგზავრებს, უბრალოდ, არ უნდათ. საქართველოში კი, თუ მგზავრი მძღოლს სთხოვს, რომ სიჩქარეს დაუკლოს, მძღოლი ამაყად განაცხადებს, რომ მანქანას, უკვე N წელიწადია, რაც მართავს, და ავარია არასდროს მოსვლია.

ამ კულტურული ურთიერთგაუგე-

ბრობის მიზეზი შეხედულებებს შორის განსხვავებაა. საქართველოში მძღოლი ამას უყურებს პირადი გადასახედიდან. ეს მისი მანქანაა, ის კარგი მძღოლია და არ სჯერა, რომ ავარიაში მოჰყვება. მაღალი სიჩქარით იმიტომ დადის, რომ გზაზე არავინაა და ასფალტიც დაგებულია (როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ!). მან იცის, რომ ავარია არ მოუვა მხოლოდ იმიტომ, რომ უტყუარი საბუთი აქვს – მანქანით მანამდე უბედური შემთხვევა არასდროს ჰქონია. ეს მისი საქმეა და იცის, რასაც აკეთებს. მას თან

■ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ავარიების და ავარიებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი აქვს.

უნდა, რომ უკან აეროპორტში მიასწროს და ახალი მგზავრი აიყვანოს. მგზავრი და მძღოლი ერთმანეთთან ეფექტურ კომუნიკაციას ვერ დაამყარებენ. მგზავრი იფიქრებს, რომ მძღოლი უპასუხისმგებლო, საშიში და ეგოსტი. მძღოლი იფიქრებს (თუ საერთოდ ფიქრობს მგზავრზე), რომ მგზავრი გამაღიზიანებელი და მშიშარაა.

უცხოელი მგზავრი კი ამ სიტუაციას სტატისტიკურად შეხედავს. ის ფაქტი, რომ მძღოლს არასდროს ჰქონია ავარია, ცხადზე ცხადია, რადგან ამ სიჩქარით მიმავალს ავარია რომ მოსვლოდა, ცოცხალი ვერც თავად გადარჩებოდა და ვერც მისი მგზავრები. უსაფრთხოების ღვედის გაკეთებას არაფერი საერთო არ აქვს

მძღოლის მოსაზრებებთან. ეს არის ნაბიჯი, რომელიც არანაირ განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს და აუმჯობესებს იმის სტატისტიკურ ალბათობას, რომ ცხოვრების მანძილზე მანქანით მგზავრობისას გადარჩე. იმ ფაქტს, რომ ღვედები განვითარებულ ქვეყნებში სავალდებულოა, მანქანის მართვის უნართან საერთო არაფერი აქვს. ის ძირითადად დამყარებულია სტატისტიკურ მონაცემებზე. ღვედის გარეშე, მაღალი სიჩქარით მოძრაობა ზრდის იმის ალბათობას, რომ შეჯახების შემთხვევაში, დაიღუპები. ასე რომ, არაფერი პირადი, მხოლოდ სტატისტიკა.

მთავრობამ საქართველოში გზების შეკეთებით კარგი საქმე გააკეთა, რასაც ყველა აფასებს, მაგრამ ბევრი, მათ შორის ისინიც, ვინც საჯარო მოხელეებს დაატარებენ, ამ გზებს ისე იყენებენ, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ავარიების და ავარიებში

სიკვდილიანობის მაჩვენებელი აქვს. საზღვარგარეთ ჩემი ნაცნობების უმრავლესობას არ ჰყავს არც ერთი საგზაო ავარიაში დაღუპული ნაცნობი. ქართველების უმრავლესობა კი, პირიქით – ბევრ ასეთ ადამიანს იცნობს. ასე რომ, ახლა როდესაც მთავრობამ უზრუნველყო, რომ გზებზე აღარ არის ორმოები, რომლებიც გვაფერხებდა, საჭიროა, ახლა ჩვენი სიცოცხლეს გადაარჩინოს – შემოიღოს უსაფრთხოების ღვედების გაკეთების საყოველთაო ვალდებულება და სიჩქარის შეზღუდვები. პირადი დამოკიდებულებები ამ საკითხების მიმართ განსხვავებულია, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს რეალობას; ხოლო სტატისტიკა სწორედ ამისთვისაა. ■

საქართველოს საგარეო პოლიტიკა

ბახლვეზებიდან სტაბილურობამდე

ინტერვიუ ვანო მამფარიათან და ბაკურ კვაშილავასთან

ტრადიციულად, პატარა ქვეყნები თავად არ განსაზღვრავენ გარეპოლიტიკას, მათ დიდი ქვეყნები სთავაზობენ გზას და როლს. დღეს საქართველოს ვერ განუსაზღვრავს საკუთარი როლი, გარდა „დემოკრატიის შუქურისა“, რაც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.



ვანო მამფარიანი, საქართველოს ყოფილი ელჩი იაპონიაში. დამთავრებული აქვს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო სწავლების უმაღლესი სკოლის სამაგისტრო პროგრამა (აშშ), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი (ჩეხეთი); არის რიგი სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიების ავტორი.



ბაკურ კვაშილავა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტის დეკანი და ასისტენტ-პროფესორი; საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, იელის უნივერსიტეტი (აშშ).

როგორ იცვლება საერთაშორისო პოლიტიკური სივრცე და, თქვენი აზრით, რამდენად ჩამოყალიბებული და თანმიმდევრულია საქართველოს საგარეო პოლიტიკა დღეს, ამ ცვლილებების ფონზე?

ვანო მამფარიანი: 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. რუსეთმა მნიშვნელოვანი გლობალური და რეგიონული მნიშვნელობის როლი დაიმკვიდრა, რომელსაც ანგარიშს უწევენ. რუსეთსა და დასავლეთს შორის რეალურად დაიწყო გადატვირთვის პოლიტიკა, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ც და ევროპაც. არ შეიძლება გამოგვჩქეს თურქეთის რადიკალური ცვლილება საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით და რუსეთთან მისი დაახლოება. პუტინმა სტამბოლის ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ენერგეტიკულ საკითხებში ალიანსი იქმნება, და ეს ორი ქვეყანა განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობით და რა ფასით მიეწოდება რუსეთისა და კასპიის გაზი ევროპას.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც არ დამთავრებულია. ევროს გამო, ევროკავშირი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა; იკლო რეგიონულმა ინვესტიციებმა და ის ინვესტიციები,

რომლებიც საქართველოში იგეგმებოდა, შეჩერდა. უკვე პირდაპირ გვეუბნებიან, რომ საქართველოსთვის გამოყოფილი 5 მილიარდი მთავრდება და მას უნდა ჩაენაცვლოს ე.წ. FDI, ანუ საგარეო ინვესტიციები, რაც დღეს საკმაოდ პრობლემურია.

ამას გარდა, ევროკავშირში ან ნატო-ში ჩვენი ქვეყნის განევრიანებაზე საუბარი სულ ცოტა 5-10 წლით გადაიდო და ეს გარკვეულ დისორიენ-

ტაციას იწვევს ქართულ პოლიტიკურ ისტაბლიმენტში.

ბაკურ კვაშილავა: პატარა ქვეყნისთვის საგარეო პოლიტიკა ცენტრალური საკითხი უნდა იყოს, რადგან მისი უსაფრთხოება სწორედ ამაზე დამოკიდებულია. თუკი უკანასკნელ მოვლენებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენთან დომინანტური შიდა პოლიტიკაა. საგარეო პოლიტიკა



მიხეილ სააკაშვილის და ნიკოლა სარკოზის შეხვედრა, თბილისი, 13 აგვისტო 2008

ფოტო: ზურა შაველაძე

ერთგვარ დამოკიდებულ ცვლადად იქცა და შიდა პოლიტიკიდან გამომდინარეობს. ამიტომ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სააკაშვილისა და სარკოზის შეხვედრის შემდეგ ხელისუფლების მიერ საფრანგეთის იმიჯის რადიკალური ცვლილება მოხდა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო შიდა პოლიტიკისთვის, რომ მაშინვე გაიცა მითითებები. იმ ჯგუფისთვის, ვინც დღეს პოლიტიკას განსაზღვრავს, უფრო მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური სიტუაცია და ის ინსტრუმენტები, რაც საშუალებას აძლევს, ხელისუფლების შენარჩუნებისთვის დაზოგონ ძალები.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს და საგარეო პოლიტიკის სფეროზეც ვრცელდება, საჯარო სამსახურის გაუმართავი მუშაობაა. ითვლება, რომ საჯარო სამსახურში ცოდნის დაგროვებას არ მოაქვს დამატებითი ღირებულება და შედეგად ვღებულობთ სისტემურ კრიზისებს, საგარეო და საშინაო პოლიტიკის დაბალ ინსტიტუციონალიზაციას, როცა ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ მმართველზე და მის პოზიციონირებაზე მმართველ ჯგუფთან.

ვანო მაჭავარიანი: დღეს საქართველოს არსებობა დამოკიდებულია აშშ-ს ღია ან ფარულ მხარდაჭერაზე მისი სუვერენიტეტის მიმართ. თუკი ჩვენი ხელისუფლება არ გააცნობიერებს, რომ არსებობს განსხვავება ამერიკის დემოკრატიულ მთავრობასთან მუშაობისას, საქართველოს გარკვეული ეგზისტენციური პრობლემები გაუჩნდება და მისი დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდება. თუ გადავხედავთ ამერიკის მონანილოებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში და ზოგადად, რეგიონში, ვნახავთ, რომ ამერიკა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთს. დემოკრატიული მთავრობების მმართველობის პერიოდში აშშ ცდილობდა, რუსეთთან კონფრონტაციაში ღიად არ შესულიყო და ეპოვა პარტნიორები, რომლებიც მის

საქმეს გააკეთებდნენ. მაშინ ეს იყო თურქეთი და ე.წ. „ბითისის“ პროექტი, რომელმაც იზოლაციიდან გამოიყვანა კასპიის ქვეყნები. შემდგომში, ბუშის პერიოდში, ეს ფუნქცია ახალ ევროპულ ქვეყნებს გადააბარეს. თუმცა, 2008 წლის მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამგვარი ძალა დღეს საქართველოსთვის უბრალოდ არ არსებობს – თურქეთსა და აშშ-ს შორის კრიზისია, ამერიკა ღიად ადანაშაულებს ევროპას იმაში, რომ ის კარგავს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს, თურქეთს. ჩვენ სერიოზული პრობლემების წინაშე სრულიად მარტო ვრჩებით, რომლებსაც ვერც საქართველო და ვერც რეგიონის რომელიმე ქვეყანა აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე ვერ გადაჭრის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება სწორი პოლიტიკა აწარმოოს აშშ-ს მთავრობასთან.

რას ნიშნავს „სწორი პოლიტიკა“ შეერთებულ შტატებთან?

ვანო მაჭავარიანი: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა პოლიტიკური წარმომადგენლობა, რომელიც ამ თემებზე მუშაობს, კარგად არ იცნობს ამერიკას. ამერიკასთან მუშაობა არ არის მხოლოდ პრეზიდენტებს შორის ურთიერთობა, უამრავი ინტერესთა ჯგუფი არსებობს, რომელთაც ეფექტური მოქმედებასა სჭირთ. ამერიკა უნდა დავაინტერესოს რეგიონული პროექტებით, სადაც ჩვენი პარტნიორი შეიძლება იყოს აზერბაიჯანი. თუ ეს ვერ მოვახერხებთ, რეგიონული პროექტების მთელი ვექტორი რუსეთისა და თურქეთის მიმართულებით გადაინაცვლებს და ეს ჩვენს რეგიონს იმ დროში დააბრუნებს, რომელშიც „ბითისის“ ამოქმედებამდე იყო. გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ჩვენ ისევ მივიწყებთ მივეცემით.

ჩვენი პრეზიდენტი, ასევე მინისტრები, თავისი დროის დიდ ნაწილს სწორედ

საგარეო ურთიერთობებს უთმობენ. რამდენად შედეგიანია მათი საქმიანობა?

ბაკურ კვაშილავა: ჩვენი ხელისუფლების საგარეო შეხვედრები სკონტანურად, სერიოზული მომზადების გარეშე ხდება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ევროსაბჭოში აბსოლუტური რევერსი მოხდა მომგებიანი პოზიციიდან წამგებიანი პოზიციამდე. ევროსაბჭოს ქართული დელეგაცია მუდმივად იცვლება, სტრასბურგში ვიზიტი ითვლება იმ ბონუსად, რომელსაც შიდა პოლიტიკაში დამსახურებისთვის ღებულობენ, სწორედ იმიტომ, რომ შიდა პოლიტიკაა დომინანტური.

კონკრეტულად რას გულისხმობთ ამ რევერსში?

ბაკურ კვაშილავა: ევროსაბჭოში საქართველოს შესახებ დისკუსია დაახლოებით თვე-ნახევრის წინ გაიმართა. მას წელიწად-ნახევრის განმავლობაში ორი სესია უძღოდა წინ, სადაც რეალურად იდგა რუსეთისთვის ნევროზის შეჩერების საკითხი. ბოლოსწინა სესიაზე, სანამ საქართველოს საკითხს განიხილავდნენ, იმდენად დიდი იყო რუსული დელეგაციის აღშფოთება, რომ მათ ევროსაბჭოს მიმართ არადიპლომატიური განცხადებები გააკეთეს. გავიდა სულ რაღაც 7-8 თვე და საქართველოს შესახებ მოხსენებაც კი ვერ მომზადდა, იმდენად განსხვავებული შეფასებები გააკეთეს ევროსაბჭოს წევრებმა. ინტერნეტში შეიძლება ნახვა, თუ როგორი პასიურია საქართველოს დელეგაცია ამ დისკუსიებზე. ნაწილობრივ, ეს გამოიწვია ტერი დევისის წასვლამ და ევროსაბჭოს ახალმა ხელმძღვანელობამ, მაგრამ ქართულმა დელეგაციამაც ვერ იმუშავა კარგად, რაც არც არის გასაკვირი, თუ ევროსაბჭოს ჩვენი დელეგაციის მუდმივ როტაციას გავითვალისწინებთ.

ვანო მაჭავარიანი: დღეს პოლიტიკური ისტაბლიმენტისთვის მტკიცებულა რეალობას შეხედოს თვალეში და



ევგენის საგარეო საქმეთა მინისტრი აშველ აბდულ გეითი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, თბილისი, 25 მაისი 2010

ფოტო: შალვა თაბუკაძე

თუნდაც პრეზიდენტის საფრანგეთში ვიზიტიდან გამომდინარე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის მოუმზადებელი იყო. ნებისმიერი ოფიციალური ვიზიტი, მით უმეტეს პრეზიდენტის, არ არის მხოლოდ სურათის გადაღება, მის უკან რამდენიმე თვიანი სამუშაო უნდა იდგეს, რაც ან ხელშეკრულების ხელმოწერით, ანდა კონკრეტული პოზიციების წარმოჩენით უნდა დასრულდეს, რაც არ მომხდარა.

როგორც თქვენც აღნიშნეთ, ამ ვიზიტისას ასევე თვალნათელი გახდა საქართველოს ხელისუფლების რიტორიკის მყისიერი ცვლილება საფრანგეთთან მიმართებაში. რა არის საფრანგეთის ვიზიტის მთავარი, ხელშესახები შედეგი?

ვანო მაჭავარიანი: აგვისტოს ხელშეკრულების მთავარი გარანტორი საფრანგეთია. ამ თემაზე უნდა გვესაუბრა და არა მხოლოდ – კუშნერის დონეზე. შენევის მოლაპარაკებები, უკვე ორი წელია, არაფერს გვაძლევს. იმისთვის, რომ ერთ დილას თბილისში რუსული ტანკები არ დაგვხვდეს, უნდა არსებობდეს საქართველოს და რუსეთს შორის ევროკავშირის ან ამერიკის გარანტიებით ხელმოწერილი ხელშეკრულება. მეორე პრობლემა, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო გაუბრბის, საფრანგეთთან ეკონომიკური თანამშრომლობაა, რომელიც რაღაც დონეზე მაინც გვქონდა, დღეს კი აღარ არსებობს. ითქვამს, რომ საქართველომ საფრანგეთისგან ორი ვერტმფრენი შეიძინა. ვერტმფრენს ნებისმიერი კერძო პირი შეიძენს, აქ არაფერია განსაკუთრებული. იმედი მაქვს, რაღაცები მაინც დარჩა კულისებს მიღმა. სარკოზიმ პირდაპირ ითქვა, რომ რუსეთი მისი მთავარი პარტნიორია ევრაზიაში.

ვფიქრობ, ამ ვიზიტის შემდეგ მაინც გაიფანტება ილუზია იმის შესახებ, რომ ჩვენ რუსეთს არ დაველაპარაკებით და პრობლემები თავისით მოგვარდება. ჩვენ რუსეთთან პირდაპირი საუბარი არ გვჭირდება,

■ იმედია, ხელისუფლებაში დაინახავენ საკითხების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე რაღაც ერთი კონკრეტული ჯგუფის ან კლანის ინტერესებია. როცა დარწმუნდებიან, რომ მოცემული ჯგუფის ინტერესები სტაბილურადაა დაცული, გაჩნდება პრობლემების გრძელვადიანი ხედვა.

ის გარღვევა, რომელიც 2004 წლიდან იყო, აღიქვას როგორც დასრულებული. არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, გარდა აგვისტოს ხელშეკრულებისა, რომელიც რუსეთს დაავალდებულებს, არ გამოიყენოს ძალა საქართველოს წინააღმდეგ. მიმაჩნია, რომ ეს საკითხები საქართველოს ხელისუფლების მიერ დღემდე არ არის სწორად დაყენებული. საგარეო უწყების როლია, საგარეო პოლიტიკის ახალი ხედვა

წარმოადგინოს, პრეზიდენტს ალტერნატივები შესთავაზოს და ამაზე დისკუსია დაიწყო. საღად უნდა შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას. ვფიქრობ, ჯერჯერობით საგარეო უწყების ხელმძღვანელთა ვიზიტებს არავითარი შედეგი არ გამოუღია. არეული გზავნილები მიდის სხვადასხვა ქვეყანაში და ერთიანი ხედვა არ არსებობს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ იქნება ვიზიტები დაგეგმილი და მომზადებული. ბოლო ვიზიტებიდან,

არსებობს მესამე მხარე, რომელმაც შეიძლება დიდი როლი შეასრულოს. სააკაშვილის და სარკოზის შეხვედრა სწორედ იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ საფრანგეთმა მესამე მხარის როლი იკისროს, რაც სარკოზიმ 2008 წლის აგვისტოში ერთხელ უკვე გააკეთა. არის საკითხები, სადაც საქართველოსა და რუსეთის ხედვა ერთმანეთს არასდროს დაემთხვევა. ესაა ოკუპაცია და სეპარატისტული რეგიონები, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს რუსეთისგან მომავალი საფრთხის დეესკალაცია. ეს არ ნიშნავს რუსეთთან მეგობრობას, არამედ ნიშნავს გარკვეულ გარანტიებს, რაც საშუალებას მოგვცემს, მშვიდად ვიცხოვროთ და განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა.

ვანო მაჭავარიანი: გარდა უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ურთიერთობებისა, საქართველო ერთი პრობლემის წინაშეც დგას. უნდა ვიპოვოთ ჩვენი როლი საგარეო, პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობების ქრილში და აქ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მოახერხებს ჩვენი ქვეყანა თავი დააღწიოს ეკონომიკურ კრიზისს, რაც აგვისტოს ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისითაა გამოწვეული. საერთაშორისო საზოგადოების დახმარება უკვე არ იქნება ისეთი, რომ მთელი ქვეყნის ეკონომიკა შეინახოს. საინვესტიციო დაპირებები ვერ ხორციელდება და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: თვითონ კომპანიებს კრიზისის პირობებში შეექმნათ სირ-

ლიტიკას ატარებენ. შესაბამისად, არ ფიქრობენ იმის შესახებ, რომ რაღაც შესაცვლელია. გვაქვს ძალაუფლების მონოპოლია, როცა ხელისუფლების შეცვლის რეალური შანსი არ არსებობს. ბოლო არჩევნები შეიძლება ასე შეფასდეს: ხელისუფლების C ნაკრებმა დაამარცხა ოპოზიციის A ნაკრები. ქართულ პოლიტიკაში ისეთი სტატუს-კვაო შექმნილი, რომ მმართველი გუნდის ხელისუფლებაში დასარჩენად არჩევნების უხეში გაყალბება არ არის საჭირო. შესაბამისად, ხელისუფლებას და მათი იდეოლოგიის ჯგუფს არანაირი საფუძველი არ აქვს, საკუთარი პოზიციის სისწორეში ეჭვი შეიტანოს. არ ხდება მათი ვალიდური ოპოზიციონირება, რაც მათ თვითონწმენას შეარყევდა.

■ დღეს პოლიტიკური ისტაბლიშმენტისთვის მტკიცეულია რეალობას შეხედოს თვალში და ის გარღვევა, რომელიც 2004 წლიდან იყო, აღიქვას როგორც დასრულებული. არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, გარდა აგვისტოს ხელშეკრულებისა, რომელიც რუსეთს დაავალდებულებს, არ გამოიყენოს ძალა საქართველოს წინააღმდეგ.

აგვისტოს ომის შემდეგ მოვახერხებ ჩვენი პოტენციური მოკავშირეების გაუცხოება. მაგალითად, გერმანიას ვეძახებთ, რომ ის „გაზპრომის“ ფულით იკვებება, საფრანგეთი „მისტრალის“ გამო ვაკრიტიკეთ. ჩვენი ეს რიტორიკა განსაზღვრავს თუ არა ევროკავშირის ქვეყნების ჩვენთან დამოკიდებულებას?

ბაკურ კვაშილავა: საქართველო არ არის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გლობალურ პოლიტიკაზე. ამიტომაც, ჩვენი კრიტიკა ვერ შეცვლიდა ჩვენდამი ამ ქვეყნების დამოკიდებულებას. შეიძლება ვთქვათ, რომ ხელი ვერ შევეშალებთ მათ გაუცხოებას. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზნები რეალისტური და მინიმალური უნდა იყოს და ბევრი რამ მედიის მიღმა უნდა კეთდებოდეს, რეალურად კი ჩვენ რუპორულ საგარეო პოლიტიკას ვანარმოებთ.

თულებები, ქვეყნის შიდა პრობლემები ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას და მთავარი – რუსეთის აგრესიის ფაქტორი. რამდენიმე დიდი იაპონური კომპანიის წარმომადგენლებს ვესაუბრე, რომლებმაც აქ დაგვეგმილი პროექტები სომხეთში გადაიტანეს. მათ ამის მიზეზად, გარდა საქართველოს მთავრობის უყურადღებობისა, ის ფაქტი დაასახელეს, რომ არ არსებობს იმის გარანტია, რომ რუსეთის აგრესია არ განმეორდეს. ეს სერიოზული პრობლემაა.

რამდენად კომპეტენტურები არიან ის ადამიანები, ვინც ამ ქვეყანაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობს?

ბაკურ კვაშილავა: შიდა პოლიტიკაში, უკვე შეიძლება წელია, ერთი და იგივე ჯგუფი დომინირებს და მათ ბუნებრივად ჰგონიათ, რომ სწორ პო-

რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიის ხარისხი იმისთვის, რომ წარმატებული საგარეო პოლიტიკა ვანარმოოთ?

ვანო მაჭავარიანი: დემოკრატიის ხარისხი საჭიროა მაშინ, როდესაც ქვეყანაში წარმოიქმნება ამის რეალური აუცილებლობა. რუსეთის მაგალითი ამას ადასტურებს. რუსებმა პირდაპირ თქვეს, რომ დემოკრატიული გარდაქმნების ეპოქა მათთვის ყველაზე მტკიცეული პერიოდი იყო. მათ უარი თქვეს ლიბერალურ დემოკრატიაზე და მმართველ დემოკრატიას დაუჭირეს მხარი. არსებობს ჩინური, სინგაპურის მოდელი. იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რაც ბოლო პერიოდში განვითარდა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მოსახლეობა დაიღალა და ვეღარ გაერკვა ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობებში. ად-

გილობრივ არჩევნებზე მოსახლეობის მხოლოდ 40% მიდის და აქედან ხელისუფლებას 60% უჭერს მხარს. ეს ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 30%-ია. დანარჩენი 50% პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობს. ბევრი ისეთი ადამიანი ვიცი, ვინც ყველას წინააღმდეგ მისცა ხმა, რადგან მიაჩნიათ, რომ არც ხელისუფლება სთავაზობთ რეალურ გამოსავალს და არც – ოპოზიციას.

ცხადია, დემოკრატია უნდა გვქონდეს, მაგრამ არჩევნებმა აჩვენა, რომ დემოკრატიის მაღალი ხარისხი დღის წესრიგში აღარ დგას. ჩვენ არ შევდივართ ევროკავშირსა და ნატოში, შესაბამისად, მოდელი, რომელიც შეინარჩუნებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას და რეგიონში რალაც დაძაბულობას არ გამოიწვევს, მისაღები იქნება როგორც ევროპისთვის, ისე აშშ-სთვის.

ამას კარგად ხედავს მმართველი გუნდი. ჩვენთან მართვადი დემოკრატიაა, როცა ადმინისტრაციული, ფინანსური, მედიარესურსები ხელისუფლებასთან დაახლოებულია, და მას შეუძლია მართოს პროცესები, რომელიც არჩევნებში ელექტორატის 40% მხარდაჭერას მოუტანს. ეს მმართველმა გუნდმა კარგად იცის, სამაგიეროდ, არ იცის ოპოზიციამ, ქარის ნისქვილებს ებრძვის და ჰგონია, რომ მის ამ ბრძოლას ვინმე შეამჩნევს და დააფინანსებს. ისინი თანახმა არიან, რუსეთთან ითანამშრომლონ.

აქ საკითხი სხვანაირად დგას. აქ დემოკრატიის ხარისხზე მნიშვნელოვანია, რომ მაგალითად, ბურჯანაძე და ნოლაიდელი ცდილობენ, საგარეო საკითხები შიდა პოლიტიკაში შემოიტანონ. საქართველოს შიდა პოლიტიკაში უნდა არსებობდეს ე.წ. პრორუსული ძალა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის ტრანსფორმაციას მოახდენს, რუსეთი იქნება ის გარანტორი, რომელიც ქვეყანას სტაბილურობას მოუტანს, და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იქნება. არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი იდეაა, მაგრამ ეს რეალობაა.

რა რესურსია ხელისუფლების შიგნით, რომ საგარეო პოლიტიკა სხვაგვარად წარმართოს?

ბაკურ კვაშილავა: იმედია, ხელისუფლებაში დაინახვენ საკითხების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე რალაც ერთი კონკრეტული ჯგუფის ან კლანის ინტერესებია. როცა დარწმუნდებიან, რომ მოცემული ჯგუფის ინტერესები სტაბილურადაა დაცული, გაჩნდება პრობლემების გრძელვადიანი ხედვა. ე.წ. „მუდმივ რეჟიმებს“ განახლებადობის პრობლემა აქვთ. დემოკრატიის ერთ-ერთი თვისება ისაა, რომ ის განახლებს, ცვლის მმართველ ჯგუფს, რომელმაც ვერ გაამართლა. იქ კი, სადაც დემოკრატიული არჩევნების გზით მმართველი გუნდის ცვლილებები ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საარჩევნოდ თანაბარი პირობები იქმნება, თვითგანახლების მექანიზმი სისტემის შიგნით უნდა შეიქმნას. მმართველმა, რომელიც საარჩევნო არენაზე თავის მუდმივ გამარჯვებებში დარწმუნებულია, უნდა იფიქროს იმაზე, როგორ მოახდინოს სისტემის თვითგანახლება. ალბათ ესაა ის ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დგას.

ვანო მაჭავარიანი: სამწუხაროდ, პოლიტიკური ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ვერ დაინახა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ საგარეო პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში განესაზღვრა. რაც შეეხება სამთავრობო გუნდს, ჯანსაღი პროცესი იქნება, თუკი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მოხდება შიდაოპონირება, როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკის საკითხებში. სამწუხაროდ, დღეს ეს არ კეთდება. ის ადამიანები, ვინც ამ პრობლემებს რეალურად ხედავენ, ჯერჯერობით ჩუმად არიან. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს. **☒**

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი



გამოიწერეთ შურნალი ლიბერალი

ბაჭღური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

შურნალის გამოსანერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: info@liberali.ge



ყირგიზეთი

ყირგიზების ზონა

ყირგიზეთი სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე დგას. საერთაშორისო დახმარება კი არ ჩანს.

სოფო ბუკია

2008 წლის აგვისტოში, როცა რუსული ჯარი საქართველოში შემოვიდა, რუსული მედია გადმოსცემდა, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც უმეტესად რუსეთის მოქალაქეები არიან, ქართული თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 2 ათასს გადააჭარბა და რუსეთი ვალდებულია, იძულებით დაამყაროს მშვიდობა.

ყირგიზეთში, სადაც დაღუპულთა რიცხვი რეალურად აღწევს 2 ათასს, ხოლო დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი როზა ოტუნბაევა პირადად სთხოვს რუსეთის პრეზიდენტს უმართავ ქვეყანა-

ში იძულებითი მშვიდობის დამყარებას, რუსი ჯარისკაცები არ ჩანან.

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთი კოლექტიური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე ორი დიდი სახელმწიფოს – რუსეთისა და აშშ-ს სამხედრო ბაზები მდებარეობს, ყველაზე კრიტიკულ მომენტში იგი სრულიად მარტო დარჩა ყოველგვარი სამხედრო თუ ჰუმანიტარული დახმარების გარეშე.

კრემლმა, რომელიც მუდმივად დეკლარირებს, რომ მეგობრებისა და

თანამემამულეების დასაცავად ყველაფერს გააკეთებს, სხვა სუვერენული ქვეყნის საქმეში ჩაურევლობის მისთვის უჩვეულო პოლიტიკას რატომღაც მაშინ მიმართა, როცა ეს სუვერენული ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვართან მივიდა და ერთადერთ ხსნას გარეშე დახმარებაში ხედავდა.

არეულობა ყირგიზეთის სამხრეთში – ოშსა და ჯალალაბადში დაიწყო. იარაღით, არმატურებით, ქვებით, დანებით შეიარაღებული ყირგიზები უვარდებოდნენ უზბეკებს, წვაგდნენ მათ სახლებს.



ოში ყირგიზებისა და უზბეკების ზონად დაიყო. ყველა სახლი, რომელსაც არ ჰქონდა წარწერა „ყირგიზი“, გადაწვეს. გაერო-ს მონაცემებით 400 ათასზე მეტი ეთნიკური უზბეკი (5.3 მილიონიანი ყირგიზეთის ყოველი მე-12 მოქალაქე) დევნილად იქცა.

ყირგიზებსა და უზბეკებს შორის ეთნიკური კონფლიქტი საბჭოთა დროს დაიწყო. 1990 წელს მიხეილ გორბაჩოვმა ყირგიზეთის იმავე რაიონში – ოშში ჯარები შეიყვანა და ეთნიკური დაპირისპირება ჩაახშო. 20 წლის წინ ამ დაპირისპირებას 300 ადამიანი ემსხვერპლა.

მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, რომლის დაშლის შემდეგ რუსეთმა ყოფილ რესპუბლიკებში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ოდკპ) დააარსა. ამ ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში შედის 7 ყოფილი საბჭოთა რესპუ-

ბლიკა, მათ შორის ყირგიზეთი, სწრაფი რეაგირების ძალებიც ჰყავს, რომელთაც ნევრ-ქვეყნებში ძალადობის შემთხვევების ჩახშობა და ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლა ევალება.

ყირგიზეთის მოვლენები პირველი სერიოზული გამოცდა გახდა ოდკბ-სთვის. თუმცა, არც რუსეთმა და არც ორგანიზაციის სხვა წევრებმა ცენტრალურ აზიაში საკუთარი ჯარები არ მიავლინეს; მეტიც, მთელი გასული კვირის განმავლობაში ოდკბ-ს სახელით ყირგიზეთს ჰუმანიტარული დახმარებაც არ მიუღია.

პერიოდულად ურთიერთობა უზბეკებსა და ყირგიზებს შორის მწვავედებოდა, თუმცა ამ 20 წლის მანძილზე შეიარა-

როზა ოტუნბაევამ, სრულად დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე.

ქვეყანას სჭირდება როგორც გადაუდებელი ჰუმანიტარული, ასევე სამშვიდობო დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაიწყოს სამოქალაქო ომი, რომელიც ყირგიზეთის ფარგლებს გასცდება და მთელს ფერგანას ველს – უზბეკეთს და ტაჯიკეთსაც მოედება.

27 ივნისს ყირგიზეთში დაგეგმილი იყო რეფერენდუმის ჩატარება ქვეყნის საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით. დროებითი მთავრობა არ აპირებს მის გადატანას ქვეყნის სამხრეთში განვითარებული მოვლენების გამო, რადგან თვლის, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება, შესაძლოა, ერთადერთი

ოტუნბაევას მთავრობა იმუქრება, რომ დახურავს ამერიკულ ბაზას, თუ ბრიტანეთი არ გადასცემს ყირგიზეთს ბაკიევის ვაჟს – მაქსიმს, რომელიც გასულ კვირას ბრიტანეთის აეროპორტში დააკავეს. ლონდონმა უკვე მისცა დროებითი თავშესაფარი მაქსიმ ბაკიევს.

არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ბაზის დახურვას რუსეთისთვის არ აქვს, გარდა იმისა, რომ ეს შესტი დაადასტურებდა, რომ მიუხედავად „ტიტების რევოლუციისა“, კრემლი ყირგიზეთისა და ზოგადად ცენტრალურ აზიის კვლავინდებური ბატონ-პატრონია.

ყირგიზი ხალხის დასახმარებლად ყველაზე კრიტიკულ მომენტში შეთან-

■ ყირგიზეთის მოვლენები პირველი სერიოზული გამოცდა გახდა ოდკბ-სთვის. თუმცა, არც რუსეთმა და არც ორგანიზაციის სხვა წევრებმა ცენტრალურ აზიაში საკუთარი ჯარები არ მიავლინეს; მეტიც, მთელი გასული კვირის განმავლობაში ოდკბ-ს სახელით ყირგიზეთს ჰუმანიტარული დახმარებაც არ მიუღია.

ლებული დაპირისპირების მცდელობა არ ყოფილა. 2009 წელს რუსეთის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კონფლიქტურობის რეიტინგში ყირგიზულ-უზბეკური კონფლიქტი დსთ-ს სივრცეში რიგით მეორე კონფლიქტი იყო, რომლის გაღობის საშუალებაც არსებობდა (პირველი ამავე რეიტინგში ქართულ-ოსური კონფლიქტია).

აპრილის სისხლიანი გადატრიალების შემდეგ, რასაც პრეზიდენტ კურმანბეკ ბაკიევის ხელისუფლებიდან ჩამოგდება მოჰყვა, ამ კონფლიქტის გაღობის საუკეთესო პირობები შეიქმნა.

ბაკიევი ყირგიზეთის სათავეში 2005 წელს, ე.წ. „ტიტების რევოლუციის“ შედეგად, კრემლის ნების საწინააღმდეგოდ მოვიდა. ბაკიევი ისეთივე კორუმპირებული მმართველი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედი ასკარ აკაევი. მისი მმართველობის დროს ქვეყანა კიდევ უფრო ჩაეფლო სიღარიბეში. ბაკიევის შემდეგ ქვეყნის სათავეში უკვე კრემლის ირიბი მხარდაჭერით მოსულმა

შანსია ვითარების ჩიხიდან გამოსაყვანად.


ბიშკეკს ყირგიზეთში განთავსებული „მანასის“ ამერიკული სატრანზიტო ბაზის თაობაზეც მოუწევს გადაწყვეტილების მიღება. ოტუნბაევა ალბათ გაითვალისწინებს, რომ ბაკიევს დიდი პრობლემები სწორედ მაშინ გაუჩნდა, როცა მან, კრემლიდან მიღებული კრედიტების სანაცვლოდ, დანაპირები არ შეასრულა და „მანასის“ ამერიკული ბაზა არ დახურა. „მანასის“ ავიაბაზის მთავარი დანიშნულებაა ამერიკული სამგზავრო და სატვირთო ავიარეისების შესრულება ავღანეთის მიმართულებით და პირიქით.

ოტუნბაევას ხელისუფლებამ გასულ კვირას აშშ-საც მიმართა დახმარების თხოვნით და, როგორც ბიშკეკში აშშ-ს საელჩო აცხადებს, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ამ თხოვნას ყირგიზეთისთვის 10 მილიონი დოლარის გამოყოფით უპასუხა.

„მანასი“ კვლავ გახდა ყირგიზეთის ხელისუფლებისთვის ვაჭრობის თემა.

ხმება ვერ მოახერხა საერთაშორისო თანამეგობრობამ. დიდი ქვეყნები ერთმანეთთან კინკლაობით გაერთნენ – ვის მეტი გავლენა ექნებოდა, ვისი ბაზა დარჩებოდა და ვისი – არა. რუსულმა და ამერიკულმა კრედიტებმა, რომლებიც მოსახლეობამდე ვერასოდეს აღწევდა, და ყირგიზული ხელისუფლების ჯიბეში გროვდებოდა, უკუშედეგი გამოიღო.

თუმცა, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს უღალატა ყირგიზეთის ელიტამ, რომელმაც ვერ შეძლო კონსოლიდირება ვერც ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე.

ყირგიზეთის მოვლენებმა ასევე კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მსოფლიო პოლიტიკური მოთამაშეები არ არიან მზად, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა. არადა, თუ უახლოეს მომავალში ყირგიზეთში ელემენტარული წესრიგი არ დამყარდება, იგი გახდება პრობლემა არა მარტო მისი უშუალო მეზობლებისთვის, არამედ – მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშეებისთვისაც. 

სომხეთი

"უჩა - ჯოცონოზასიას"

უცხოენოვანი სკოლების გახსნის ინიციატივა
სომხური საზოგადოების უკმაყოფილებას აწყდება.

ლიანა ხაჩატრიანი



უცხოენოვანი სკოლების გახსნის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია, ერევანი, ივნისი 2010

ახალმა კანონპროექტმა „უცხოენოვანი სკოლების შესახებ“ სომხეთში დიდი ხმაური გამოიწვია. ვიდრე ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ამტკიცებს, რომ უცხოენოვანი სკოლების გახსნა ქვეყანაში განათლების დონეს აამაღლებს, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდის, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ერევანს ამ ყველაფერს მოსკოვი კარნახობს.

სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა ყოფილ საბჭოთა სივრცეში, რომელიც უცხოენოვანი სკოლების არსებობას კრძალავს. ახალი კანონპროექტის თანახმად, ამ აკრძალვის გაუქმება იგეგმება.

9-დან 11 ივნისამდე, საგაზაფხულო სესიის ბოლო ოთხდღიანი სხდომის განმავლობაში, სადაც ხსენებული კანონპროექტი განიხილებოდა, პარლამენტის კართან აქტივისტთა ჯგუფი

შეიკრიბა. „მონებო!“ – უყვიროდნენ ისინი პარლამენტის შენობაში შემსვლელ დეპუტატებს.

შეკრებილთა პლაკატებზე ეწერა: „განათლება – სომხებს“, „არა – კოლონიზაციას“, „ენა ვალის დაბრუნების საშუალება არაა“. ამ საპროტესტო აქციის ორგანიზატორია ინიციატორთა ჯგუფი – „ჩვენ უცხოენოვანი სკოლების გახსნის წინააღმდეგი ვართ“. ამ ჯგუფს მხოლოდ სოციალურ ქსელ

„ფიხისბუკზე“ 2500 მხარდამჭერი ჰყავს. ახალ ინიციატივას ორი საპარლამენტო ფრაქციაც აპროტესტებს: „მემკვიდრეობა“ და „დამნაკვეთი“.

აქციაზე ინიციატორთა ჯგუფის წევრმა არამ აპატიანმა დამსწრეებს შეახსენა: „გასული წლის ნოემბერში ფონდ „რუსკი მირის“ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება დსთ-ს ქვეყნებში რუსული ენის, სახელმწიფოდ თუ არა, ეროვნებათშორის ენად ქცევაა“.

აპატიანმა განაცხადა, რომ ამავე კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა „რუსკი მირის“ თავმჯდომარე ნიკონოვი, რომელმაც დაამშვიდა დამსწრეები, – ამ მხრივ სომხეთში პრობლემა არ გვექნებაო. „ზუსტად ერთი თვის შემდეგ სომხეთში რუსულენოვან სკო-

არქიტექტორი ლევონ იგნატიანი გაცოცხლებულია, რატომ ატყდა ასეთი ხმაური უცხოენოვანი სკოლების გამო: „ჩვენ ძლიერი ვართ. ასე რამ დაგვაშინა? თუ 15 სკოლის გახსნით, როგორც ეთნოსი, დავმარცხდებით, მაშინ დაე, დავმარცხდეთ!“ – თქვა მან. თუმცა, ჟურნალისტებს არ გამოჰპარვიათ, რომ რუსული განათლების მქონე არქიტექტორმა თავისი სიტყვა წინასწარ ჯერ რუსულად დანერა.

სომხეთში ბევრი სიტყვათშეთანხმებას – „უცხოენოვანი სკოლები“ – რუსულ განათლებად აღიქვამენ. ამის მიზეზი უახლესი საბჭოთა წარსულია, როდესაც სომხურ სკოლებში განათლების უფრო დაბალი დონე იყო, ვიდრე რუსულში და ამიტომ ბავშვები ტოტალურად რუსულ სკოლებში დაჰყავდათ. ამან ქვეყანაში რუსულენოვანი ინტელიგენციის წარმოშობა განაპირობა,

მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

ხელისუფლების ამ ინიციატივას სომხეთში ბევრი რუსეთის საამებელ ქმედებად აღიქვამს. ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა სურენ სურენიანცმა აღნიშნა: „ერთმნიშვნელოვნად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინიციატივა კრემლიდანაა ნაკარნახევი. ეს რუსეთის ნეოიმპერიული პოლიტიკის გაგრძელებაა. უცხოენოვანი სკოლების გახსნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ეს ნაციონალური თვალსაზრისითაც საშიშია და სოციალური კუთხითაც“.

ამ ბრალდებებმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრ არმენ აშოტიანამდეც მიაღწია. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან სცადა, პასუხი გაეცა რუსული ენის „შემოტევის“ საფრთხეს-

■ „ერთმნიშვნელოვნად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინიციატივა კრემლიდანაა ნაკარნახევი. ეს რუსეთის ნეოიმპერიული პოლიტიკის გაგრძელებაა. უცხოენოვანი სკოლების გახსნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ეს ნაციონალური თვალსაზრისითაც საშიშია და სოციალური კუთხითაც“.

ლებთან დაკავშირებით კონფერენცია ჩატარდა“. აპატიანი დარწმუნებულია, რომ ეს კანონპროექტი საგარეო შეკვეთაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ იმ აქტივისტს, ვინც კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდის, რუსული განათლება აქვს. მათ საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რამდენად ძლიერად ზემოქმედებს უცხოენოვანი სკოლა ადამიანის აზროვნებაზე.

„თავის დროზე ჩვენ განათლებას ძირითადად რუსულ ენაზე ვიღებდით. ითვლებოდა, რომ რუსული განათლება ხარისხიანი იყო. დღეს ძალიან მიჭირს – ლაპარაკისას გონებაში თან ვთარგმნი – რუსულიდან სომხურად. რაც უნდა ილაპარაკო, ენა აზროვნებასაც ცვლის“, – ამბობს ყარაბაღის კონფლიქტში მებრძოლი არკადი კარაპეტიანი.

რომელმაც სომხური ენა ყოფით დონეზეც რუსულით ჩაანაცვლა.

90 წლებში, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სომხეთში ხანგრძლივი კამათის შედეგად როგორც იქნა, მიაღწიეს, კანონმდებლობის დონეზე აღედგინათ სავალდებულო სომხურენოვანი განათლება. დღეს კი, როდესაც სკოლებში ხარისხიანი სწავლებისა და კორუფციის პრობლემები არსებობს, ხშირად გაიგონებთ ფრაზას, – „სად არის ისეთი განათლება, როგორსაც ადრე რუსულენოვანი სკოლა გვაძლევდა“. შესაბამისად, გაჩნდა საშიშროება, რომ უცხოენოვანი სკოლების გახსნის შემდეგ, რომელთა დიდი ნაწილი რუსული ან ინგლისური იქნება, ყველა განათლების მისაღებად იქ მიაშურებს.

სწორედ ამიტომ, უცხოენოვანი სკოლების გახსნის იდეას საზოგადოების

თან დაკავშირებით.

„უცხოენოვანი სკოლები რუსულენოვანი სკოლების ქსელად არ გადაიქცევა. რუსული სკოლების ალორძინების ეპოქა აღარ დადგება. ერთი და იგივე ენის მიმართულებით ხუთ-ხუთ სკოლაზე მეტი არ გაიხსნება“, – თქვა არმენ აშოტიანმა. თუმცა აღიარა, რომ მთავარი აქცენტი სწორედ რუსულ და ასევე ინგლისურ ენებზე იქნება.

კანონპროექტის წინააღმდეგ მებრძოლებს, მინისტრის დანაპირების არ სჯერათ. ისინი არმენ აშოტიანის გადადგომას ითხოვენ. „თუ არმენ აშოტიანს სომხურ სკოლებშივე არ შეუძლია უცხო ენების სწავლების ხარისხის ამაღლება, მაშინ უნდა გადადგეს“, – განაცხადა ინიციატორთა ჯგუფის წევრმა არამ აპატიანმა, – „ჩვენ უცხოენოვანი სკოლების გახსნის წინააღმდეგი ვართ“.

საკურორტო სეზონი აფხაზეთში

ახალი ხურობი აფხაზეთში

აფხაზეთი ტურისტებს ელის.

რესპუბლიკის კურორტების რიცხვს მალე კოდორის ხეობაც დაემატება.

ანაიდ გოგორიანი, სოხუმი



ტურისტების ნაკადი, რომელსაც ასე ელოდნენ, აფხაზეთში ჯერ არ ჩანს. ტურიზმის დეპარტამენტში ამბობენ, რომ ხალხს უბრალოდ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სახლში ყურება ურჩევნია და როგორც კი მუნდიალი დასრულდება, აფხაზეთის სანაპიროებს ათასობით ადამიანი მოაშურებს. აქ ძალიან უნდათ, რომ 2007 წლის რეკორდი განმეორდეს, როცა აფხაზეთში თითქმის მილიონმა ადამიანმა დაისვენა.

აფხაზეთში ტურისტების უმეტესობა შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად და გასარუჯად ჩამოდის. თუმცა, მაგალითად, 2007 წელს რესპუბლიკაში დაახლოებით 200 ათასი ტურისტის ერთდღიანი ექსკურსიის მიზანი ახალი ათონის გამოქვაბულის, რინის ტბის, მღვიმეების – არაბიკისა და სნენაიაის მონახულება იყო.

ძალიან მალე ამ ულამაზესი სანაპიროების რიცხვს კიდევ ერთი დაემატება. კოდორის

ხეობა ის ადგილია, სადაც აფხაზეთის ხელისუფლება ტურიზმის სერიოზულად განვითარებას გეგმავს. დღეს იგი დაკეტილია ტურისტებისთვის უსაფრთხოების მიზნით, თუმცა უდავოა, რომ მომავალში ეს ხეობა ერთ-ერთი მიმზიდველი ტურისტული მარშრუტი გახდება. „როგორც კი შესაბამისი სამსახურები იქ უსაფრთხოების ზომებს გაამკაცრებენ, დამსვენებლებს სპეციალურ მარშრუტებს შევთავაზებთ. ჩვენ ამაზე უკვე ვმუშაობთ“, – ამბობს კურორტებისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე ვიჩესლავ ბარციცი.

გეგმის მიხედვით, კოდორის ხეობაში უნიკალური ნაციონალური პარკი გაშენდება. აღდგება სამხედრო გზა, რომელიც ყარაჩაი-ჩერქეზეთს კოდორის ხეობასთან დააკავშირებს. „ეს პროექტი უკვე სერიოზულად განიხილება, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მხარდაჭერა არსებობს. უახლოეს ხანებში კონკრეტულ დეტალებს

■ **კოდორის ხეობაში ნაციონალური პარკი გაშენდება.** აღდგება სამხედრო გზა, რომელიც კოდორს ყარაჩაი-ჩერქეზეთს დააკავშირებს.

ბზე დაინყებთ მსჯელობას“, – ამბობს პრემიერ-მინისტრი შამბა.

თუმცა, სამომავლო გეგმებზე მეტად აფხაზეთში ახლა ის აინტერესებთ, თუ როგორ ჩაივლის წლევეანდელი საკურორტო სეზონი, რომელზეც აქ ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებენ.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ქვეყანის საკურორტო განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობები უნდა

მოეტანა, თუმცა დღემდე დამსვენებლებს აფხაზეთისკენ მხოლოდ სუფთა ზღვა და მდიდარი ბუნება იზიდავთ. მოლოდინები, რომ აფხაზეთში წელს 2007 წლის რეკორდი განმეორდება და მილიონამდე დამსვენებელი ჩამოვა, გადაჭარბებულია. ტურისტული ბიზნესის განვითარების მთავარი პირობა – კვებისა და სავაჭრო ობიექტებში სერვისის დონე, კვლავინდებურად ძალიან დაბალია.

კურორტებისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე ვიარესლავ ბარციცი ამბობს, რომ ტურისტებისგან ყოველ წელს მრავალი საჩივარი მოდის. „წმირად არ მოსწონთ მომსახურე პერსონალის არაპროფესიონალიზმი, სერვისი, ქალაქის ქუჩების, პლაჟების სისუფთავე, საკვები პროდუქტების ხარისხი, არის საჩივრები ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებით“, – ამბობს იგი.

სწორედ ამიტომ, ექსპერტები ამბობენ, რომ 2007 წელს ტურისტების მოზღვავებულ ნაკადს უკუფეხეტიც ჰქონდა: რესპუბლიკის მწირი ინფრასტრუქტურა არ აღმოჩნდა მზად ამ რაოდენობის სტუმრების მისაღებად, ამიტომ მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნად დაეცა, რის გამოც, ბევრმა ტურისტმა ქვეყანა უკმაყოფილომ დატოვა.

წელს სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები იმისთვის, რომ აფხაზეთს თანამედროვე კურორტების სტანდარტებთან რაღაც მსგავსება ჰქონდეს, თუმცა ეს არასაკმარისია. ორი-სამი წლის წინ აფხაზეთში დასვენება ეგზოტიკური იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ უკან – საბჭოეთში ბრუნდებოდი. დღეს სტალინის დროინდელი პანსიონატები, სასადილოები, სადაც მაკარონის წვნიანით, მოთუშული კომბოსტოთი და ვაშლის ჩირის კომპოტით გიმასპინძლებოდნენ, წარსულს ჩაბარდა.

„ჩვენი მეგობარი რუსეთი გვეხმარება, რომ წელში გავიმართოთ, – ამბობს ბარციცი, – მთელი წლის განმავლობაში რუსეთში გამოფენა-ბაზრობები იმართებოდა, სადაც ხალხს აფხაზურ ბუნებას და კულტურას აცნობდნენ“.

აფხაზეთის კურორტების მთავარი კაპიტალი სწორედ რუსი ტურისტებია. ტურიზმში ჩადებული ინვესტიციებიც

ძირითადად რუსულია. სოჭთან და კრასნოდარის მხარის სხვა კურორტებთან შედარებით, აფხაზეთი რუს ტურისტებს ძირითადად იმით ხიბლავს, რომ სანატორიუმები აქ უფრო იაფია; თანაც, 2008 წლის ალიარების შემდეგ აფხაზეთში დასვენება უფრო უსაფრთხო გახდა, რადგან რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული.

აფხაზეთის ხელისუფლება ცდილობს, გაატაროს გარკვეული ცვლილებები იმისათვის, რომ აფხაზეთში დასვენება რუსი ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს, თუმცა საერთო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბევრი მაინც არაფერი იცვლება.

მაგალითად, აპრილის ბოლოს ბლაფში სამართალდამცავებს რაიმე სერიოზული საფუძვლის გარეშე რუსულწმირიანი მანქანების გაჩერება სასტიკად აუკრძალა. არადა, აფხაზი სამართალდამცავების ჯიბეში საკურორტო სეზონზე სოლიდური თანხა „გროვდებოდა“.

ტურისტებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია რუსულ-აფხაზური საზღვრის საკონტროლო გამშვები პუნქტის „ვესიოლოე - ფსოუ“-ს გადაკვეთა. გასულ წელს, გახურებული სეზონის დროს ტურისტებს 3-5 საათის განმავლობაში უწევდათ სიცხეში რიგში ლოდინი. პრობლემები, როგორც წესი, რუსულ მხარეს ჩნდება, ამიტომ მათი მოგვარებაც რუსული მხარის კომპეტენციაა. როგორც პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა ამბობს, მოლაპარაკებები საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის გამართვისთვის საკითხზე უკვე მიმდინარეობს. მიმდინარე საკურორტო სეზონზე სოჭი-ადლერი-გაგრას ჩქაროსნული მატარებლის ამუშავებაც იგეგმება. ლაპარაკია რუსეთთან საზღვაო მიმოსვლის მოწესრიგებაზეც. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ტურისტების ნაკადს მეტ სტიმულს მისცემს, რუსეთთან ავიაურთიერთობის აღდგენაა – ივლისში სოხუმის აეროპორტი საზეიმოდ გაიხსნება.

ივლისის ბოლოს დასრულდება აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის მიერ GPS ფორმატის ნავიგაციური რუკის შექმნისთვის განეული სამუშაო. ეს რუკა მნიშვნელოვნად გააიოლებს აფხაზეთში მოგზაურობის

პირობებს. უფასო რუკით სარგებლობა ყველა ტურისტს შეეძლება, ვისაც GPS ნავიგაციური აქვს, ან ტელეფონზე სპეციალური პროგრამა.

ბევრად უფრო აქტიურად ვითარდება კერძო სექტორი, რომელიც საკურორტო სეზონის დროს სოლიდურ თანხას აგროვებს, თუმცა მოგებას სახელმწიფოს არ უნაწილებს, რის გამოც, დღის წესრიგში ტურისტული ფირმებისგან გადასახადების აკრეფის გამკაცრება დადგა. „მალალსართულიან სახლებში ბინას ყველა აქირავებს, თუმცა გადასახადს არავინ იხდის. ადამიანები უნდა მიეჩვიონ იმას, რომ რაკი ისინი დამსვენებლებს იღებენ და ამ საქმიანობით შემოსავალს იღებენ, გადასახადიც უნდა გადაიხადონ“, – ამბობს გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრი ვახტანგ ფიფია.

გაგრაში ერთი საწოლის ფასი 200-250 რუბლია, ზოგჯერ – 500 რუბლი. თვეში კერძო სექტორი ერთი საწოლისთვის, გადასახადის სახით, 300 რუბლს იხდის. 2009 წელს ამ საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ხაზინაში 5,5 მილიონი რუბლი შევიდა. წელს გადასახადი გაორმაგდა და 600 რუბლს შეადგენს.

აფხაზეთის სანაპიროებზე დასასვენებლად ყველაზე საუკეთესო სეზონი აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერია. ივნისი-ივლისი კი ის თვეებია, როცა ყველა კერძო სახლსა თუ სასტუმროში დიდ საშვადისში არიან. ზოგს სახლის ფასადი აქვს შესათეთრებელი, ზოგს ცხელი წყლის ავზი შესაკეთებელი, სხვები თერთულს ამზეურებენ სტუმრების მოლოდინში. ამ სამ თვეზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ტურისტული ინდუსტრია ერთადერთი სეგმენტია, რომლითაც აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტი უშუალოდ ქვეყნის შიგნიდან ივსება. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კი ზაფხული არის ის პერიოდი, როცა მთელი წლის სამყოფი ფული უნდა იშოვონ. **□**

HEINRICH BÖLL STIFTUNG სამხრეთი კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



საქართველოს პარლამენტის შენობის პროექტის ამსახველი ბილბორდები, ქუთაისი 2010

პარლამენტის ახალი შენობის ხარჯები

ახალი პარლამენტი – დახუჯილი ობიექტი

საქართველოს მთავრობა საზოგადოებას პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობის შესახებ ინფორმაციას უმაღავს.

მაია ნიკლაური, მაია მეცხვარიშვილი

ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, „დიდების მემორიალის“ მიმდებარე ტერიტორია რკინის მესერიითაა შემოსაზღვრული. მესერს მიღმა ლითონის მილები ჩანს. მილების ჩასანყობად კი მიწა გათხრილი. ობიექტს 24 საათის განმავლობაში დაცვის პოლიცია ყარაულობს. სპეციალური ნებართვის გარეშე, ტერიტორიაზე შესვლის უფლება არავის აქვს, მათ შორის არც – ჟურნალისტებს.

„ეს დახურული ობიექტია“, – გვეუბნება ერთ-ერთი მშენებელი. მისგანვე ვიგებთ, რომ მშენებლობაზე დასაქმებული 200-მდე მუშიდან უმეტესობა თბილისელია, რადგან ქუთაისში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ვერ მოძებნეს.

მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებისა და საძირკვლის გამაგრების შემდეგ ამ ადგილზე საქართველოს პარლამენტის ისეთივე შენობა უნდა

აშენდეს, როგორც მესერთან დამონტაჟებულ ბანერზეა გამოსახული. მიწისა და მეტალის კონსტრუქციისგან დაპროექტებული პარლამენტის ახალი შენობა 2012 წელს უნდა დასრულდეს.

„დახურულ ობიექტზე“ ინფორმაციაც დახურულია. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ქონების ფინანსური ხარჯთაღრიცხვა საჯარო ინფორმაციაა, მშენებელი კომპანიები არ ამბობენ, ვინ არის მათი დამკვეთი სა-

ხელმწიფო უწყება და რა უჯდებათ სამშენებლო სამუშაოები.

„ეს არის სახელმწიფო ობიექტი. არანაირი უფლება არ მაქვს, რაიმე გითხრა, საიდუმლოა. საქმე სახელმწიფოს შეკვეთას ეხება და არ მინდა, რაიმე ისეთი ვთქვა, რაც შემდეგ სწორი არ იქნება“, – გვითხრა სატელეფონო საუბრისას სამშენებლო კომპანია „მაგი სტილის“ მარკეტინგის მენეჯერმა დავით კურცხალიამ.

ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში პარლამენტის მშენებლობის საკითხებს პლენარულ სხდომაზე განიხილავდნენ. თუმცა პარლამენტის შენობის შესახებ „საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს“ შესაბამისი ფინანსური ახსნა-განმარტება არ მოჰყოლია, რაც პროცედურების დარღვევაა. გადაწყვე-

ნისტრის აპარატში და არც ფინანსთა სამინისტროში არ აქვთ.

ერთადერთი სამთავრობო ორგანო, რომელიც პარლამენტის შენობის დაფინანსებაზე საუბრობს, ქუთაისის გამგეობაა. მთავრობის 2010 წლის №418-ე განკარგულებით, მშენებლობაზე პასუხისმგებელი უწყება ქუთაისის მერიაა. სწორედ ამ ქალაქის მთავრობამ შეარჩია ის სამშენებლო კომპანიები, ვინც სამუშაოები უნდა ჩაატაროს. კომპანიების შერჩევა მთავრობის განკარგულებით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მოხდა და მერიას ტენდერი არ ჩაუტარებია.

გამარჯვებული კომპანიები „მენო ინტერნეიშენალი“ და „მაგი სტილია“, თუმცა რა კრიტერიუმებით მიანიჭეს მათ უპირატესობა, გაურკვეველია.

■ გამარჯვებული კომპანიები „მენო ინტერნეიშენალი“ და „მაგი სტილია“, თუმცა რა კრიტერიუმებით მიანიჭეს მათ უპირატესობა, გაურკვეველია.

ტილება, რომ პარლამენტის შენობა თბილისიდან ქუთაისში გადაეტანათ, დეპუტატებმა ფინანსური დოკუმენტაციის გარეშე დაამტკიცეს.

დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ ახალი შენობის პროექტი 60 მილიონი ლარი ღირს, თუმცა რის ხარჯზე უნდა გამოიყოს ეს თანხა ბიუჯეტიდან და რა პერიოდზე უნდა გადანაწილდეს, ამის შესახებ საუბარი ბობოხიძემაც და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემაც მაშინ ნაადრევად მიიჩნიეს.

„როგორ შეიძლება წინასწარ ვილაპარაკოთ 2012 წლის ბიუჯეტზე?!“ – ასე უპასუხა საპარლამენტო ოპოზიციის შეკითხვას ბაქრაძემ.

პარლამენტის მშენებლობის თანხები საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტში არ ჩანს. კითხვაზე, თუ რომელი უწყება იხდის ფულს პარლამენტის ასაშენებლად და როგორ შეირჩა ის კომპანიები, ვინც სამუშაოებს ატარებს, პასუხი არც პარლამენტში, არც პრემიერ-მი-

„მენო ინტერნეიშენალს“ აქვს მსგავსი სამუშაოების გამოცდილება. მას აქვს მანამდე მოცულობითი სამუშაოები შესრულებული. ეს ინფორმაცია მე მოვიძიე ვებ-გვერდებიდან და შესაბამისად მოხდა ამ ფირმის შერჩევა“, – ამბობს ქუთაისის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსი ჯემალ წულაძე.

სამენარმეო რეესტრის ამონაწერიდან ვიგებთ, რომ ორივე გამარჯვებულ კომპანიას ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს. „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი და ამჟამად კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, ასევე „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გიორგი გეგეშიძე.

„მაგი სტილი“ თბილისში კიდევ ერთ სახელმწიფო პროექტში მონაწილეობს და ისანი-სამგორის რაიონში „სამხედრო ქალაქს“ აშენებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს და სამხედრო ოფიცრებს ოროთახიანი ბინები

საკუთრებაში გადაეცემათ. პროექტი თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით ხორციელდება და 2011 წელს უნდა დასრულდეს.

ქუთაისის მერიამ „მენო ინტერნეიშენალთან“ 1 მილიონ 500-ათას ლარიანი ხელშეკრულება უკვე გააფორმა. 2010 წლის დასაწყისში ქალაქის ბიუჯეტში პარლამენტის მშენებლობისთვის მთავრობის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების სარეზერვო ფონდიდან“ 5 მილიონი ლარი გადაირიცხა. ქუთაისის მერიამ 2010 წლის ბოლომდე იგივე დანიშნულებით კიდევ 5 მილიონი ლარი უნდა მიიღოს.

2009 წელს პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოებისთვის ქუთაისის მერიას ასევე 5 მილიონი ლარი დაერიცხა. „დიდების მემორიალის“ დემონტაჟს 19 დეკემბერს დედა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა, ასევე ცნობილი გახდა, რომ მემორიალის აფეთქების მიზეზი ამ ადგილზე პარლამენტის მშენებლობა იყო.

დეტალური ხარჯთაღრიცხვა – თუ რამდენად სწორად დაიხარჯა აქამდე ქუთაისის მერიაში გადარიცხული თანხა, ან 2012 წლამდე რამდენი ლარი და როგორ უნდა დაიხარჯოს პარლამენტის მშენებლობაზე – საჯარო არ არის. მთავრობის ვებ-გვერდზე არც ერთი განკარგულება არ დევს, რაც პარლამენტის ახალი შენობის დაფინანსებას ეხება. ინფორმაციის მიღება სამთავრობო სარეზერვო ფონდებიდან კი შეუძლებელია. პარლამენტი სარეზერვო ფონდებისთვის გამოყოფილ თანხას წინასწარი ხარჯთაღრიცხვის გარეშე ამტკიცებს.

კონტროლის პალატის 2009 წლის დასკვნაში წერია, რომ სარეზერვო ფონდის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილი არ არის. გასული წლის ფონდის ანგარიშში კონტროლის პალატამ ვერ დაადგინა, თუ რის საფუძველზე დაიხარჯა 7 მილიონამ-

პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა ქუთაისში

შემსრულებელი
„ენო ინტერნეიშნალი“

შემსრულებელი
„აბი სტილი“

„ენო ინტერნეიშნალის“ და „აბი სტილის“ მფლობელები:

ირაკლი ჩიქოვანი

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი

გიორგი გუგუშია

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი

დე ლარი, რადგან ფონდს შესაბამისი განკარგულებები მაკონტროლებელ ორგანოში არ წარუდგენია. არასრულია ინფორმაცია „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ხარჯვაზეც. კონტროლის პალატის დასკვნაში წერია, რომ სარეზერვო ფონდებიდან გასაწევი ხარჯები მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში, ხარჯვა არამიზნობრივია.

ამის საპირისპიროდ, 2010 წელს საპრეზიდენტო და სამთავრობო ფონდის ბიუჯეტი გაორმაგდა. თითოეულ მათგანში 25-25 მილიონი ლარი ირიცხებოდა, თუმცა 2010 წელს ეს რაოდენობა კიდევ 30-30 მილიონით გაიზარდა. შეიცვალა ფონდიდან ფულის ხარჯვის დანიშნულებაც. 2010 წლიდან სარეზერვო ფონდის დანიშნულება ნებისმიერი „სახელმწიფო გადასახდელის“ დაფარვაა. აღარ არის აუცილებელი, ფონდიდან თანხები სახელმწიფო მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევების დროს დაიხარჯოს, როგორცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტრო-

ფები, გაუთვალისწინებელი შემთხვევები.

ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, პრეზიდენტს და მთავრობას სურვილისამებრ შეუძლია სარეზერვო თანხების განკარგვა. ასევე საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, სამთავრობო ფონდიდან თანხის გამოყოფა პირდაპირი მოლაპარაკებების გზითაა შესაძლებელი იმ კომპანიისთვის, რომელსაც მთავრობა შეარჩევს და არა ტენდერით, რაც საშუალებას იძლევა სახელმწიფო დაკვეთა იმ კომპანიამ შეასრულოს, რომელიც კონკურენციის პირობებში საუკეთესო წინადადებით გაიმარჯვებს.

პარლამენტის შენობის მსგავსად, შესაძლოა, სწორედ სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსდა პრეზიდენტის ავლაბრის ადმინისტრაციის შენობა. მისი ხარჯთაღრიცხვა და ინფორმაცია ჩატარებულ ტენდერებზე, რის მიხედვითაც შემსრულებელი შეირჩა,

დღემდე მიუწვდომელია ჟურნალისტებისთვის. უცნობია, მთლიანობაში რა დაუჯდა სახელმწიფოს პრეზიდენტის ავლაბრის ადმინისტრაციის შენობა.

ასევე მიუწვდომელი რჩება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმით აირჩიეს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელ კომპანიები, რომელთა მფლობელებიც „რუსთავი 2“-ის ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელები არიან, ერთ-ერთი მათგანი კი სახელმწიფო მოხელეა. ან როგორ იხარჯება ის თანხები, რომელსაც სამთავრობო ფონდი სპეციალურად ამ მშენებლობისთვის გამოყოფს. ერთადერთი დანესებულება, რომელიც რაიმე ტიპის ინფორმაციას ავრცელებს დახარჯულ თანხებზე, ქუთაისის მერიაა. მასზე ზემდგომი უწყებები კი აცხადებენ, რომ ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვაზე არანაირი ინფორმაცია არ აქვთ. [\[1\]](#)



პარლამენტის მთავრობის ფონდი

სტატიის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მოსაზრებებს და შეხედულებებს. მასზე მთლიანად პასუხისმგებელია შპს „ლიბერალი“.

უსინათლო ამომრჩევლების უფლებები

ჩოსა სახუთაძე აჩვენებს ვიხ ხელს

30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებში უსინათლო მოქალაქეებისთვის ბრაილის შრიფტით 2120 სპეციალური ბიულეტენი დაიბეჭდა. თუმცა, უსინათლოებამდე ეს ბიულეტენები არ მიუტანიათ.

ნინო თოფურიძე

ალიმ მირზაევი, 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებზე ხმის მისაცემად დილით ადრინადად გამოცხადდა და მისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი მოითხოვა. მან წინასწარ იცოდა, რომ მისთვის და მისნაირი მხედველობადაქვეითებული მოქალაქეებისთვის უბანზე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ბიულეტენები უნდა ყოფილიყო.

„გამოცხადდი მე-19 უბანზე, მოვიკითხე ბიულეტენი და, – არ გვაქვს, არ შემოგვიტანიაო, – მითხრეს. შევატყობინე ცესკო-ს ცხელ ხაზს – მაგრამ არაფერი, მოიბოდიშეს და ეგ იყო“, – იხსენებს უსინათლო ამომრჩეველი ალიმ მირზაევი.

მირზაევის მსგავსად, არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობა ვერ მიიღო ფონიჭალის ყველა უსინათლო ამომრჩეველმა. 30 მაისს არც მე-18 უბანზე მისულ ამომრჩევლებს დახვედრიათ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები. ფონიჭალა თბილისში უსინათლოთა ყველაზე დიდი დასახლებაა. აქ დაახლოებით ათას ხუთასამდე ადამიანი ცხოვრობს. მათ უმრავლესობას მხედველობის ნაწილობრივი დაქვეითება აქვს, ხოლო სამასი ადამიანი სრულად უსინათლოა.

„როცა უბანზე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ბიულეტენი მოვიკითხე, მიპასუხეს, – ადრე უნდა მოგეთხოვათო. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე სპეციალური ბიულეტენები თავისით მოჰქონდათ, წელს რატომ გახდა საპრობლემო ეს საკითხი? უსინათლოთა კომპაქტურ ჩასახლებაში ბრაილის შრიფტის ბიულეტენი რომ უნდა მოიტანონ, ამას მოითხოვნა რად უნდა?“ – ამბობს უსინათლო ამომრჩეველი ლეილა ვეფხვაძე.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების ბეჭდვა 21 მაისს დაიწყო.



შეკვეთა „უსინათლო საზოგადოებათა სტამბამ“ მიიღო. თბილისში ეს ერთადერთი სტამბაა, რომელსაც ბრაილის შრიფტით ბეჭდვის შესაძლებლობა აქვს.

„მივიღე შეკვეთა, უნდა დამებეჭდა 2120 ბიულეტენი. დავბეჭდე და ჩავაბარე ცესკო-ს, გავაფორმეთ მიღება-ჩაბარების აქტი. ბიულეტენების დაბეჭდვა დაჯდა ოთხი ათასი ლარი“, – ამბობს სტამბის მფლობელი სიმონ დოლიძე.

საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ცესკო ვალდებულია, საოლქო კომისიას არჩევნებამდე ორი დღით ადრე გადასცეს ბიულეტენები; ხოლო საოლქო კომისია პასუხისმგებელია, კენჭისყრამდე 12 საათით ადრე მიანოდოს უბანს ბიულეტენები. ფონიჭალის უბნებზე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ბიულეტენები საერთოდ არ მიუტანიათ.

„დაიხ, იქ არ ყოფილა ბრაილის შრიფ-

ტით დაბეჭდილი ბიულეტენები. ჩვენმა დამკვირვებელმა ამის გამო საჩივარი დაწერა, თუმცა, უბანზე პასუხი ვერ მიიღო. მერე, ოლქმა უბანს გადააბრლა: უბანს უნდა მოეთხოვა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები“, – განაცხადა ფონიჭალაში, „ალიანსი საქართველოსათვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა სოფო ხორგუანმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერ ჯული გიორგაძისთვის უცნობია, რატომ შეექმნათ უსინათლოებს ხმის მიცემისას პრობლემა: „ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები გადანაწილდა ოლქების მიხედვით. ამის შესახებ უსინათლოთა კავშირმა გვაცნობა. ფონიჭალაში არც ერთ უბანზე ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენი არ მიუტანიათ, იმიტომ რომ წინასწარ არ მოუთხოვიათ“.

ჯული გიორგაძისგანვე ვიგებთ, რომ ბიულეტენები ოლქებში ინახებოდა, თუმცა როგორ უნდა გამოიყენოს უბანზე მისულმა ამომრჩეველმა ოლქში შენახული ბიულეტენი, გაუგებარია. გამოდის, რომ უბანზე ამომრჩეველს უნდა გაეკეთებინა განაცხადი და დალოდებოდა, როდის მოიტანდნენ ბიულეტენს ოლქიდან. უსინათლოები ხაზს უსვამენ იმას, რომ სხვა არჩევნებზე არასოდეს გამხდარა საჭირო წინასწარი მოთხოვნა. ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი სპეციალური ბიულეტენები მათთვის ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე მიჰქონდათ.

წინასწარჩევნო სარეკლამო კამპანიითა და კარგი პიარის წყალობით, უსინათლოთა დასახლებებში იცოდნენ, რომ მათთვის სპეციალური ბიულეტენები დაიბეჭდა. მაგრამ, რატომ არ მივიდა ისინი დაწინაურების ადგილამდე, ამის შესახებ მხოლოდ ეჭვებს გამოთქვამენ.

„ფიქრობ, რომ ამ ბიულეტენებში ხუთი ნომერი შემოხაზეს და ჩვენი ხმები გამოიყენეს! აქვს ამ ეჭვს არსებობის საფუძველი! ჩემს ირგვლივ ვერაფერს გამოიყენა ბრაილის შრიფტიანი ბიულეტენი!“ – ამბობს უსინათლოთა გაზეთ „სინათლის“ მთავარი რედაქტორი ცირა ვეფხვაძე

ბიულეტენების გაყალბების ეჭვს აძლიერებს უსინათლოების მონაყოლიც, რომ მათ დასახლებაში ხშირი იყო ხმების სანაცვლოდ ფულის შეთავაზებისა და მუქარის ფაქტები. განსაკუთრებით იმ უსინათლო ამომრჩევლებზე, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან.

„უკიდურეს სიღუფებში ვცხოვრობთ, სამსახურის დაკარგვის ყველას ეშინია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბევრი ამგვარ შემთავაზებას დათანხმდა“, – გვითხრა ალიმ მირზაევამ.

უბანზე ბრაილის შრიფტიანი ბიულეტენების არქონის გამო, უსინათლოებმა ხმა დამოუკიდებლად ვერ მისცეს. მა-

გრამ, მიუხედავად შექმნილი პრობლემებისა, უმეტესობა საარჩევნო უბანზე გამოცხადდა.

„ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავად გააკეთოს არჩევანი, ბრაილის შრიფტის გარეშე ჩვენ დამოუკიდებლად ხმას ვერ ვაძლევდით, ხმის მიცემა ფარულად უნდა შემეძლოს, სინამდვილეში არც კი ვიცი, რა ნომერი შემომხაზეს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი უფლების შეზღუდვაა“, – ამბობს ლეილა ვეფხვაძე.

ირინე არდუტილი, უსინათლო ამომრჩეველი: – „ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ასაკოვან უსინათლოებზე მეტად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში, არ არის სასიამოვნო სხვისი დახმარებით ხმის მიცემა. უმაღლესებში სწავლობენ და უბანზე დამოუკიდებლად ხმა ვერ უნდა მისცენ?!“

ნინო აბაიშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი და არჩევნების კოორდინატორი, განმარტავს, რომ ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ბიულეტენების არქონის გამო, უსინათლოთა უფლებები დაირღვა: „დაირღვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მეოთხე და მერვე მუხლები – კერძოდ, ადამიანის უფლება, ფარულად გააკეთოს არჩევანი. ასევე უგულვებელყოფილია 29-ე მუხლი და № 2965 განკარგულება, რაც ავალდებულებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, არჩევნების სრულფასოვან ორგანიზებას. სრული აბსურდია იმაზე საუბარი, რომ ამომრჩევლებს ბიულეტენები უნდა მოეთხოვათ. 29-ე მუხლის მიხედვით, ცესკო-მ ცალსახად უნდა იცოდეს, სად რა ტიპის და რამდენი ბიულეტენია საჭირო“.

იურისტის განმარტების მიხედვით, უნდა დადგეს ოლქისა და საარჩევნო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხი. პასუხისმგებლობის გადაცემა დამოუკიდებელი ორგანიზაცია „უსინათლოთა კავშირისათვის“, გაუმართლებელია. „უსინათლოთა კავშირი“ არ არის ვალდე-

ბული, მინაოდოს ცესკო-ს რაიმე ტიპის მონაცემები და არ იღებს ვალდებულებას მინოდებული მასალის სიზუსტეზე.

კრწანისის საარჩევნო ოლქის კომისიაში განმარტავენ, რომ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები არჩევნების დღეს უბნებს გადაეცათ. მათივე განცხადებით, ისინი მთელი დღის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარეებისგან იღებდნენ ინფორმაციას, რომ უსინათლოებს არ სჭირდებათ სპეციალური ბიულეტენები, რადგან ისინი „რაღაც უნარით“ – ჩვეულებრივი ბიულეტენებით აძლევენ ხმას(?!).

კრწანისის ოლქის თავმჯდომარე ლოლიტა ზარქუა: „ჩვენ, უბანს ბრაილის შრიფტის ბიულეტენები 40 წუთის დაგვიანებით გადავეცით, რადგან დაგვაკინყდა და მხედველობიდან გამოგვრჩა მათი არსებობა. შემდეგ კი ხმის მიცემის პროცედურა ყოველგვარი დარღვევის გარეშე წარიმართა“.

ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები ცესკო-მ ჩაიბარა, მერე კი ოლქს გადასცა. ამის შემდგომ ბიულეტენების კვალი იკარგება. ფაქტია, უსინათლოებს ფონიჭალის ჩასახლებაში, ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ბიულეტენებით არ უსარგებლიათ. ცესკო-მ, ოლქმა და უბანმა, ამ მიზანმიმართული შეცდომით თუ შემთხვევითი გაუგებრობით, დაარღვიეს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც მათ ავალდებულებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის სათანადო საარჩევნო პირობების შექმნას. საარჩევნო კოდექსის დარღვევასთან ერთად დაირღვა ყველაზე მთავარი, უსინათლოების უფლება, დამოუკიდებლად, ფარულად და სრულფასოვნად განეხორციელებინათ საკუთარი სამოქალაქო ვალდებულება – მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. □

თვალსაზრისი

ქახთუდი ბიუროკრატია

საქართველოს მთავრობაში ძალაუფლებას არა თანამდებობა განსაზღვრავს, არამედ პრეზიდენტთან ახლობლობა.

გიორგი ცხადაია



„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კვალიფიციური ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბება გახდა. სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოსთვის იმისი გაანალიზება რთული აღმოჩნდა, რომ ბიუროკრატია მხოლოდ შესაბამისი უნარებით აღჭურვილი ადამიანების ერთობლიობას არ გულისხმობს, და ეს ცნება პირველ რიგში, განვითარების მონაპოვარს გამოხატავს.

გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი მიიჩნევდა, რომ ევროპული საზო-

გადოებების განვითარების ისტორიაში ბიუროკრატის გამოჩენამ პოლიტიკის რაციონალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თუმცა იგივე ბიუროკრატით შესაძლოა ბოროტი მიზნების მიღწევაც, ამიტომ ერთდროულად მისი პოტენციალისა და სიხისტის გამო, ვებერი ამ მდგომარეობას ბიუროკრატის „რკინის გალიას“ უწოდებდა. ბიუროკრატია, ასევე, იქცა უფრო მეტად ეგალიტარული (თანასწორი) და სამართლიანი სისტემის სინონიმად, რადგან მისი წევრების პრივილეგიები არ ეფუძნებოდა მათ წოდებრივ სტა-

■ **საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მას ჰყავდა რამდენიმე ფავორიტი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შემდგომ მის მთავარ მტრებად იქცნენ, მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილი.**

ტუსს, არამედ – პროფესიულ უნარებს და განათლებას. ამგვარ სისტემაში ადამიანი, რომელიც ფლობს გარკვეულ ბიუროკრატიულ თანამდებობას, ხდება გარკვეული ბიუროკრატიული კომპეტენციების მფლობელი. ერთი სიტყვით, მისი თანამდებობა განსაზღვრავს მის ძალაუფლებას.

ამ ფორმულის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი კავკასიაში, გავრცელებული იყო ე.წ. პატრონ-კლიენტელისტური კავშირები, რომელიც ერთი მხრივ, გულისხმობდა იმას, რომ ადამიანები თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ნეპოტიზმის ან სხვა ტიპის პირადი პროტექციის საფუძველზე, და მეორე მხრივ, მათი მდგომარეობა ბიუროკრატიის შიგნით განისაზღვრებოდა არა იმით, თუ ვის რა თანამდებობა ეკავა, არამედ იმით, თუ ვინ ვისი „კლიენტი“ იყო. მსგავსი განაწილება, უფრო ნაკლებად ეხებოდა ლიდერებს, რომელთა საჯარო ხილვადობა დიდი იყო, მაგალითად, ცეკა-ს მდივანს (ანუ ტრადიციულად ცეკა-ს მდივანი დანამდვილებით ფლობდა ყველაზე მეტ ძალაუფლებას რომელიმე რესპუბლიკაში) და საერთოდ არ ეხებოდა საბჭოთა კავშირის უზენაეს მმართველებს.

საქართველოში შევარდნაძის პერიოდში და რუსეთში ელცინის პერიოდში ბიუროკრატია, ასევე, შევინოებულები იყო პატრონ-კლიენტელისტური კავშირებით და მმართველი ელიტა საკუთარი თავის იერარქიზაციას არა დაკავებული საჯარო პოსტების, არამედ პირადი ურთიერთობების საშუალებით ახდენდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომელიც რეალურად არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან თანამდებობის პირს, შესაძლოა, ყოფილიყო იმაზე მეტად გავლენიანი ფიგურა, ვიდრე საზოგადოებას წარმოედგინა. აქედან ჩნდებოდა ეჭვები, რომ კონკრეტული პირები იყვნენ ხელისუფლების „რუხი კარდინალები“, ანუ ფლობდნენ რეალურ ძალაუფლებას.

მიზეზი, რის გამოც მმართველი კასტის შიგნით ნოდებრივი ჯგუფები (მაგ.: შუა საუკუნეების ფეოდალები, ჩვენს

შემთხვევაში კი – პარტიის არაფორმალური ლიდერები, „რუხი კარდინალები“ და სხვ.) იქმნება, ვებერის მიხედვით, ორია: 1. ქარიზმული ლიდერის არსებობა, 2. ლიდერის მიერ თავისი ფავორიტებისთვის („კლიენტებისთვის“) შექმნილი პრივილეგიების იმგვარი ჩამოყალიბება, რომ ეს პრივილეგიები ერთგვარ ნოდებრივ ხასიათს იძენენ (ვინც ლიდერის ფავორიტად ითვლება, ის ხდება რეალური ძალაუფლების მფლობელი). მსგავს საზოგადოებაში ლიდერი განსაზღვრავს, თუ ვის უფრო მეტი ძალაუფლება უნდა ჰქონდეს და ვის უნდა დაუჯერონ დანარჩენებმა და, რაც მთავარია, ეს განსაზღვრა არაფორმალურია.

საქართველოს შემთხვევაში, ქარიზმული ლიდერის როლი ჯერ შევარდნაძემ დაიკავა (რომელსაც ქვეყანა უნდა გადაერჩინა სამოქალაქო ომისგან) და შემდეგ – სააკაშვილმა, რომელიც ცივილიზებული დასავლეთისკენ უნდა გაძლოდა ქართველ ხალხს (ამ დროს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებშიც პოპულარული იყო იდეა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“). სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მას ჰყავდა რამდენიმე ფავორიტი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შემდგომ მის მთავარ მტრებად იქცნენ (მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილი). ერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა მკვლევარმა საქართველოს შიდა პოლიტიკა შუასაუკუნეობრივ მეფის კარს შეადარა, სადაც ქარიზმული ლიდერის მიერ სხვადასხვა პოლიტიკოსის წახალისება ხდება. დანინაურებული პოლიტიკოსები ისაზღვრავენ და იმტკიცებენ თავიანთ ბატონობის სფეროს (რომელიც ხშირად ბიუროკრატიულ კომპეტენციათა რაციონალურ დანაწილებას არ ემთხვევა) და ლიდერისგან დამოუკიდებლად იწყებენ მართვას. კლასიკური მაგალითი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა, რომელიც მმართველმა ყველა სხვა სამინისტროსგან გამოარჩია და პრივილეგიები მისცა. ამიტომ, შინაგან საქმეთა მინისტრს („ქვეყნის ხერხემალს“) განსაკუთრებული „ნეოფეოდალური“ სივრცე შეე-

ქმნა, სადაც საკუთარი შეხედულებით მართავს და ანესრიგებს სახელმწიფოს საქმეებს.

ხშირ შემთხვევაში, პატრონ-კლიენტელისტურ ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; უფრო მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებთან ახლო ურთიერთობა განსაკუთრებით ფასდება, როგორც პრესტიჟის ნიშანი შინაგან სამინისტროებრივ დონეზე; ასევე, არსებობს იმის აღქმა, თუ ვინ არის პრეზიდენტის ფავორიტი და ამ ადამიანების მიმართ განსაკუთრებული ურთიერთობები მყარდება, რადგან ისინი რეალური ძალაუფლების მატარებლებად მიიჩნევიან.

ზოგიერთ სამინისტროში ხდება ისეც, რომ რეალურ ძალაუფლებას არა მინისტრი, არამედ გარკვეული „ფავორიტთა კლანის“ წევრები ფლობენ. ეს ძირითადად ისეთი სამინისტროებია, რომლებსაც ძალოვან სტრუქტურებთან შეხება არ აქვთ. იქიდან გამომდინარე, რომ ძალოვან სტრუქტურებს აქვთ იმისი ფუფუნება, განსაზღვრონ ვინ დაიჭირონ და ვინ არა, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი განსაზღვრავენ იმასაც, თუ ვინ როდის ჩამოიცილონ.

თუ სახელმწიფო ბიუროკრატიის რეალური გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი, რამდენად ეგალიტარულია შინაპარტიული სტრუქტურები? აქაც, ქართულ პარლამენტზე დაკვირვებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პარლამენტის ინდივიდუალური წევრების მოსაზრებებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ისინი ტელევიზიით ფაქტობრივად არც კი გადაიცემა, საკუთარი ინტერესების ლობირების საშუალება კი ინტერესთა ჯგუფებს რამდენიმე ისეთ პარლამენტართან აქვთ, რომლებიც რეალურ ძალაუფლებას ფლობენ და რომლებიც მთელი პარტიის სახელით საუბრობენ.

სისტემა შიგნიდან ვერ შეიცვლება და მხოლოდ ძლიერი გარე პოლიტიკური ძალის გამოჩენით შევძლებთ სისტემის რაციონალიზირებას, პატრონ-კლიენტელისტური ურთიერთობების შერყევას და თანამედროვე სახელმწიფოს აშენებას. ■

ჩახი ნაბიჯის უხევენება

საგადასახადო სისტემების შეფასების კრიტერიუმებს შორის სტაბილურობა ერთ-ერთი მთავარია. თუ საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, ბიზნესმენებს ურთულდებათ საქმიანობის დაგეგმვა და წარმოება.

კახა კობრიძე

2004 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც დღემდე ითვლება (ან ითვლებოდა) ერთ-ერთ პრინციპულ ნაბიჯად ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზაზე. შემცირდა გადასახადების სახეები, მათი განაკვეთები, მაგრამ მაშინ არავინ საუბრობდა იმაზე, რომ საგადასახადო ტვირთის მოცულობას ასევე განსაზღვრავს ე.წ. ბიზნესის კანონმდებლობასთან „შესაბამისობის ფასი“ (cost of compliance). მართლაც რომ ავხსნათ: თუ დასაბეგრი შემოსავალი 100 ლარია, საიდანაც ბიუჯეტში გადასახდელია 20 პროცენტი, ანუ 20 ლარი, ხოლო გადასახადის გადახდისთვის ყველა საჭირო პროცედურის წარმოება ჯდება 10 ლარი, გამოდის, რომ ტვირთი 30 პროცენტია.

დღეს არაერთი კომპანია ცდილობს, იყოს კარგი გადახდელი, მაგრამ ვერ ახერხებს ამას, კანონის მუხლების რთული და ორაზროვანი შინაარსის გამო, ან კი საკმაოდ ძვირი უჯდება მასთან შესაბამისობა. რაც უფრო ხშირად იცვლება ნორმები, მით უფრო იზრდება შესაბამისობის ფასიც. 2004 წლის შემდეგ შეიცვალა საგადასახადო კოდექსის 700 მუხლზე მეტი და არგუმენტად ყოველთვის გაუმჯობესებას და გამარტივებას ასახელებდნენ. ამ ფონზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბიზნესი კანონის ცალკეული მუხლების დაცვაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე საკუთარ განვითარებაზე. კანონის შემთხვევაში, „არცოდნა არცოდვას“ არ ნიშნავს. კანონის არცოდნა არავის ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და საჭი-

რო ხდება კანონშემოქმედებით პროცესზე მუდმივი დაკვირვება.

მაგრამ არის მეორე მხარეც – თუ კანონი რეალობას ვერ ერგება, გადამხდელთა უფლებები არ არის დაცული, იგი არ პასუხობს ეკონომიკაში განვითარებულ ახალ ტენდენციებს ან მთავრობა ირჩევს განსხვავებულ კურსს, ბუნებრივია, ის აუცილებელია შეიცვალოს. სწორად ამ რეალობის წინაშე ვდგავართ: მთავრობა და ბიზნესი საზოგადოება თანხმდება, რომ

■ ბევრ ინოვაციურ ცვლილებასთან ერთად პროექტში მრავალადა ხარვეზი, რომელთაგან დაზღვეული უნდა ყოფილიყო ახალი კანონი.

საგადასახადო კოდექსი შესაცვლელია.

2010 წლის ივნისის დასაწყისში მზის შუქზე გამოვიდა კოდექსის ახალი პროექტი, რომელიც მთლიანად ცვლის მოქმედ კანონს. დადასტურდა, რომ კოსმეტიკური შელამაზებით ვერ მოხერხდა მისი გაუმჯობესება, მაგრამ ისმება კითხვა: არის კი ახალი პროექტი ის ოპტიმალური ვერსია, რომელიც გვჭირდება?

ბევრ, მართლაც ინოვაციურ და დადებით ცვლილებასთან ერთად პროექტში მრავალადა უზუსტობა, ხარვეზი და სუბიექტივიზმის საფუძველი, რომელთაგან დაზღვეული უნდა ყოფილიყო ახალი კანონი. ასევე ჩანს, რომ ხისტი ადმინისტრირება ისევ პრობლემაა; კითხვას ბადებს ომბუდსმენის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის ხარისხი; სადავოა ფიზიკურ პირ-

თა მიერ ქონების რეალიზაციის დაბეგვრა და მინის გადასახადის ფორმულირება; არასწორია მცირე ბიზნესის დაკვალიფიცირება მხოლოდ ფიზიკური პირებით და ასე შემდეგ. ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტი, რაც მოქმედ კოდექსს და პროექტსაც აკლია, საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად დაკანონდება. თუმცა ახალი პროექტი მაინც კონსერვატიულ პათოსს ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკას, ბიზნესსაც და მოქალაქეებსაც წაადგებათ, თუ ამ სტანდარტის შემოღებით კოდექსის სოციალური ორიენტაცია გაიზრდება.


მთავრობამ არ უნდა იჩქაროს კოდექსის გამოქვეყნებული ვერსიის მიღება. გადასახადებთან კავშირშია ყველა მოქალაქის ცხოვრება, ბიზნესის დანყება და განვითარება, ინვესტიციების წახალისება, დასაქმება, ხელფასის ოდენობები, რესურსების განაწილება, სიღარიბე, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ასე დაუსრულებლად. ამიტომაც საჭიროა, თითოეულმა გადახდელმა გაიგოს, რა იცვლება, რა ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობებთან ექნებათ საქმე ახალი კოდექსის ამოქმედების შემდგომ. სამოქალაქო სექტორიც უნდა იყოს აქტიური და პოლიტიკის ავტორებს არგუმენტირებული შენიშვნები მიანოდოს, რადგან დამდგარ შედეგებზე პრეტენზიები უკვე დაგვიანებული იქნება. თუ კი ნაჩქარევად მიღებული კანონი კვლავ კვირაში ერთხელ შეიცვლება, ეს საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად იმოქმედებს. ■

ახალი საბალანსო კოდექსი

იყიდა, სანამ ბაძვიხდება

იანვრიდან საქართველოში ბინების ფასი გაიზრდება.

ნინო გოგუა



ილუსტრაცია: თამარ ნადარეიშვილი / ფრენს-საქონლენი

„სიტყვა და საქმის“ ვებ-გვერდზე 5 ათასამდე განცხადება ბინების ყიდვა-გაყიდვას ეხება. მათი დიდი ნაწილი საჩქარო გამოხმაურებას ითხოვს. ბევრი მათგანი რამდენიმე თვეა დევს.

უძრავი ქონების ბაზარზე, რომელიც ბოლო ორი წელია კრიზისის განიცდის, სექტემბრიდან ცვლილებებია მოსალოდნელი. ექსპერტების აზრით, ბინები გაძვირდება.

საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის სამუშაო ვერსიის თანახმად, კერძო პირმა, რომელმაც ბინა ორ წელზე მეტი ხნის წინ შეიძინა და დღეს მისი გაყიდვით 30 ათას ლარზე მეტ მოგებას ნახავს, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის, ანუ ფასებს შორის სხვაობის – 20 პროცენტი უნდა გადაიხადოს. 30 ათას ლარზე ნაკლები მოგების შემთხვევაში კი, გადასახადისგან თავისუფალია.

ბინების დღევანდელი ფასებისა და ინფლაციის მაჩვენებლების გათვალისწინებით, საცხოვრებელი სახლების

უმრავლესობა 20 პროცენტით დასაბეგრთა კატეგორიაში მოხვდება, რადგან სხვაობა მაგალითად 15 წლის წინ ბინაში გადახდილ თანხასა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის, ხშირ შემთხვევაში, 30 ათას ლარზე მეტი იქნება.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ბინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი სრულიად საპირისპირო პრინციპით იბეგრება. მოქალაქე, რომელიც ბინას 2 წელზე მეტხანს ფლობდა, გაყიდვის შემთხვევაში ყველანაირი გადასახადისგან თავისუფალია. იბეგრებიან მხოლოდ ისინი, ვინც ბინას ყიდულობენ და 2 წელიწადში ისევ ყიდიან. მიიჩნევა, რომ ბინების ხშირი ყიდვა-გაყიდვით ეს ადამიანები ეკონომიკურ სარგებელს ნახულობენ და ამიტომ მოქმედი კოდექსით 12%-ით იბეგრებიან. 2011 წლიდან კი მათაც 20%-ის გადახდა მოუწევთ.

ელისო ბერიშვილი უკვე ოთხი თვეა საბურთალოზე ოროთახიანი ბინის

გაყიდვას ცდილობს, რომ ამ ფასად დედაქალაქის გარეუბანში ორი ბინა იყიდოს და დაოჯახებული შვილი საცხოვრებლად ცალკე გადავიდეს. ბინა, რომელშიც ახლა ცხოვრობს, 1995 წელს 16 ათას დოლარად, ანუ იმდროინდელი კურსით 20 ათას ლარად შეიძინა. დღეს იგი ბინას 65 ათას დოლარს ანუ მიმდინარე კურსით (1,88) 122 ათას ლარს აფასებს. თუ ბერიშვილმა ბინა ახალი კანონის ამუშავებამდე ვერ გაყიდა, იანვრიდან ბიუჯეტში შემოსავლის 20 პროცენტის ანუ 20 ათასი ლარის გადარიცხვა მოუწევს.

„ბინა 15 წლის წინ 20 ათას ლარად ვიყიდე და თუ ამ თვეებში ვერ გაყიდე, მერე ისევ 20 ათასი უნდა გადამახდევინონ? ძარცვაა, სხვა არაფერი. იმედია, სანამ მაგ კანონს მიიღებენ, მანამდე გაყიდი. 20 ათასის ბიუჯეტში გადახდის შემდეგ სხვა ბინის ყიდვა ძალიან გამიჭირდება“, – ამბობს იგი.

სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ ახალი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად უძრავი ქონების ბაზარზე ბინების ფასი გაიზრდება. თუმცა, განსხვავებით 2004-2007 წლებისგან, ამას სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო ჩარევა განაპირობებს და არა ბინებზე მზარდი მოთხოვნა.

„მათ, ვინც უძრავ ქონებას ყიდის, საგადასახადო ტვირთი ეზრდებათ. ცხადია, ყველა ეცდება ფასი ისე გაზარდოს, რომ გაყიდვის შემდეგ ხელზე მისთვის სასურველი თანხა დარჩეს“, – განმარტავს ეკონომისტი ირაკლი შავიშვილი.

გადასახადის დაწესების საჭიროება 2010 წლის ბიუჯეტის დეფიციტმა განაპირობა.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, წელს მთავრობის მიერ დახარჯულ და ბიუჯეტის არსებულ შემოსა-

ვლებს შორის სხვაობამ 1 156 მილიონ ლარს მიაღწია.

ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ხათუნა მიქაცაძის განცხადებით, ამის მიზეზი საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაა, რამაც ბრალი, ტრადიციულად, 2008 წლის აგვისტოს ომს და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისს მიუძღვის. თუმცა გაიზარდა მთავრობის ხარჯებიც – 2008 წელს შედარებით ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის წელს 126 მილიონით მეტი დაიხარჯა, მთავრობის სხვა ხარჯებისთვის კი 97 მილიონით მეტი გამოიყო.

„ბიუჯეტი დეფიციტურია და თუ ახლა არ მოუვლით ამ პრობლემას, მომავალ წლებში ეკონომიკური სტაბილურობა გამოირიცხვება“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი სირაძემ საგადასახადო კოდექსის პროექტის საჯარო განხილვაზე.

ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ ბიუჯეტის დეფიციტის გამო მოსახლეობის მეტი გადასახადით დასჯა, უსამართლობაა.

„როცა ქაშისის მოჭერის პოლიტიკაზე მესაუბრებიან, ეს ქაშისი თვითონ უნდა მოიჭირონ და არა მე. დეფიციტი მათი გადამეტებული ხარჯვითაა შექმნილი და სანაცვლოდ მე კი არ უნდა წამართვან ფული, თვითონ უნდა იარონ ნაკლები საზღვარგარეთ და არაფრისმომცემი პროექტები არ აშენონ“, – ამბობს აუდიტორი ირაკლი შავიშვილი.

მინისტრის მოადგილე ირაკლი სირაძე კი თვლის, რომ უსამართლობა სწორედ ის იყო, რომ აქამდე ფიზიკური პირი ბინის გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან გადასახადს არ იხდიდა.

„– მილიონებს შოულობს ეს ხალხი! ყველგანა ასეთი გადასახადი, შევეცადეთ ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ პრაქტიკასთან დაგვეახლოვებინა“.

მსოფლიოში უძრავი ქონებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა მართლაც მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ ეს გადასახადი, უმეტეს ქვეყნებში,

განსხვავებული პრინციპით მუშაობს.

მაგალითად, საფრანგეთში ბინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 30,1%-ით იბეგრება, საიდანაც 12,1% მოქალაქეების სოციალურ უზრუნველყოფას ხმარდება. თუ ეს შემოსავალი 25,000 ევრომდეა, მაშინ ბინის მფლობელი საერთოდ გადასახადი არ გადასახადიდან. ბეგრას არ იხდიან არც ის ადამიანები, ვინც კერძო საკუთრებას 15 წელზე მეტია ფლობენ.

საქართველოში, ბინის გაყიდვით მიღებული მოგების გადასახადისგან მფლობელები 2004 წელს გათავისუფლდნენ, მანამდე, მყიდველებისა და გამყიდველების უმრავლესობა, მოლაპარაკების შედეგად, ნასყიდობის დოკუმენტში იმაზე ნაკლებ ფასს უთითებდნენ, ვიდრე ბინა რეალურად ღირდა. ახალი კანონის დამტკიცების შემდეგ ეს ძველი შეთანხმებები მფლობელების წინააღმდეგ იმუშავებს.

თუმცა ეს ძველი პრაქტიკა გადასახადისგან თავის დაძვრენის თაღლითური, მაგრამ მაინც ქმედითი, საშუალება შეიძლება ისევ გახდეს. ხელშეკრულების დამადასტურებელ ნოტარიუსს კანონი არ ავალდებულებს ბინის ობიექტური ფასი დაადგინოს და განსაზღვროს.

თუმცა ამას ყველა ბინის მფლობელი

ჩომბი იბახევა ბინის ბაზარში მიღებული შემოსავალი სხვა ქვეყნებში

- ბრიტანეთი** – ფიზიკური პირი – 0%, გადამყიდველი – 81%
- ესტონეთი** – ყველა – 21%
- გერმანია** – ფიზიკური პირი 0%, გადამყიდველი – 25-28%
- ჰონგ კონგი** – 0%
- ისლანდია** – 18%
- ისრაელი** – 20%
- მოდოვა** – 9%-ით იბეგრება ფიზიკური პირი, თუ ახლა გაყიდული ბინის ფასი გაორმაგებულია სანყის ფასთან შედარებით. გადამყიდველები არ იბეგრებიან.
- შვედეთი** – 30% (შედის ჯანდაცვის უზრუნველყოფის ხარჯები)
- აზერბაიჯანი** – 0%

ვერ მოახერხებს. განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებსაც ობიექტურად ძვირადღირებული ბინები აქვთ.

არც გარიგების დადების და არც გადასახადის გადახდის პრობლემა არ ექნებათ პატარა და არაკეთილმოწყობილ ბინებს, რომლებიც შეიძლება მთლიანობაშიც არ ღირდეს 30 000 ლარი. გადასახადი არც სამშენებლო კომპანიებს ეხებათ, მაგრამ ფასების გაძვირება ამ ორივე კატეგორიის ბინებზეა მოსალოდნელი.

„თუ ზოგადად, ბაზარზე ძველი აშენებული ბინების ფასი გაიზარდება, ეს შესაბამის გავლენას მოახდენს ახალაშენებულ სახლებზეც“, – აცხადებს „აქსისის“ გენერალური დირექტორი თემურ ჭოხონელიძე, – თუმცა ეს ვერ იქნება პროპორციული, ანალოგიური – 20%-იანი მატება“.

ამის მიზეზი ბაზარზე ბინების დაბალი მოთხოვნაა.

„რამდენიმე წლის წინ როცა მეპატრონე 1კვ.მ-ს 1000\$-ს აფასებდა, იცოდა, 900\$-ად მაინც გაყიდდა. ახლა 700-ზეც თანახმაა, ოღონდ მყიდველი გამოუჩნდეს. იმის მიუხედავად, რომ ბინების ფასმა შედარებით დაიკლო, გაყიდვები მაინც არ გაზრდილა, რადგან მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაბალი“, – ამბობს საბროკერო კომპანია „უნიფაუნდის“ დირექტორი ზაზა კაპანაძე.

გამოდის, ამ საგადასახადო განაკვეთით მყიდველზე მეტად გამყიდველი ზარალდება. თუ ბინის ფასს ბიუჯეტში გადასახდელ 20%-ს არ დაურთავს, მას ამ თანხის გაცემა საკუთარი მოგებიდან მოუწევს.

საგადასახადო კოდექსი ჯერ ისევ დამუშავების პროცესშია. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა 21 ივნისიდან დაიწყება და ძალაში 2011 წლის იანვარში შევა. მართალია, შეიძლება ახალ კოდექსის პროექტში ბევრი ცვლილება შევიდეს, მაგრამ მინისტრის მოადგილის ირაკლი სირაძის განმარტებით, ეს ჩასწორებები ბინების გაყიდვით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხს, სავარაუდოდ, ნაკლებად შეეხება. □

**ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე,
რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ
„დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად
14-18 ივნისის კვირის რეჟიუმი**



„ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, შეგნებულად გაუხანგრძლივეს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა მიხეილ სააკაშვილს. საკონსტიტუციო კომისია კი უკვე ამზადებს პროექტს მიხეილ სააკაშვილის პრემიერ მინისტრის პოსტზე დასაბრუნებლად 2013 წლის შემდეგ. ამ პოლიტიკურ ქირს ასეთი ოპოზიციის პირობებში ვერ მოვიშორებთ“.

ორშაბათი, 14 ივნისი. რადიოქალაქი FM 101.9
კახა ძაგანია. „ლეიბორისტული პარტია“



„ჩვენს წინაშე დგას ყაჩაღი ხელისუფლება, რომელიც უნდა გავანეიტრალოთ, რადგან ის ყოველდღიურად ღუპავს ქვეყანას სხვადასხვა ხერხით. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. შემოდგომიდან ჩვენ დავინყებთ კარგად დაგეგმილ აქციებს და ვაიძულებთ ხელისუფლებას, მოუსმინოს საქართველოს მოქალაქეებს“.

სამშაბათი, 15 ივნისი. რადიოქალაქი FM 101.9
გიორგი კობახიძე. „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“



„ახალი მემარჯვენეების ლიდერი, დავით გამყრელიძე გამოვიდა ინიციატივით, ალიანსში შემავალი პარტიები ჩამოყალიბებულიყვნენ ერთ ძალად, გამსხვილებულიყო და გაძლიერებულიყო ოპოზიციური გაერთიანება, თუმცა ალიანსის წევრები არ აღმოჩნდნენ ამისათვის მზად. ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა. ეს რთული იქნებოდა ყველა პარტიისთვის, თუმცა ეს აუცილებელი იყო ქვეყნისთვის“.

ოთხშაბათი, 16 ივნისი. რადიოქალაქი FM 101.9
მანანა ნაცვებია. „ახალი მემარჯვენეები“



„საკრებულოს პირველივე სხდომაზე დამტკიცდა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ არის ხელისუფლების სატელიტი პარტია. ოპოზიციას ერთად უნდა გადაეწყვიტა, ვის წარადგენდა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, მაგრამ ვიქტორ დოლიძის კანდიდატურა ალასანიამ გიგი უგულავასთან ფარულ შეხვედრაზე შეათანხმა“.

ხუთშაბათი, 17 ივნისი. რადიოქალაქი FM 101.9
კახა კუკავა. „კონსერვატიული პარტია“



„სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები. თუ შეიცვალა ერთი მინისტრიც კი, მთავრობა შევა პარლამენტში ნდობის მისაღებად. საქართველოს არ უყავს შეუცვლელი მინისტრი.“.

პარასკევი, 18 ივნისი. რადიოქალაქი FM 101.9
გია ხუროშვილი. მთავრობის საპარლამენტო მდივანი



რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977



რეპორტაჟი

ეხუსიიდან ბანდუხნიცი მუხთიანობა

ისინი მართლმადიდებლური ეკლესიიდან უნდა წინ განდევნეს, თუმცა თავს ყვემარიტ მართლმადიდებლებად მიიჩნევენ. ვინ უნდა უფროსს ზედაზნის ჯვრის ქვეშ?!

მარია ქონიაშვილი



ზედაზენზე ასკეტურად მცხოვრები მართლმადიდებლები, 17 ივნისი 2010

ფოტო: მხარას პრესცენტრი

„...მოკლედ, დიდი ხნის წინ საქართველოში ჩამოვიდა ვინმე რუსი ბორია. აიყოლია „ჯვარის მამის“ მღვდელი და მრევლი და წაიყვანა ზედაზენზე. მერე ის მღვდელი დაეხსნა და უკან დაბრუნდა, დანარჩენები კი ახლაც იქ ცხოვრობენ. სექტანტები არიან. უზარმაზარ ჯვარს აშენებენ. მინას თხრიან და ოჯახებით იმ ორობებში ცხოვრობენ. ადამიანებთან კონტაქტში არ შედიან. თუ ვინმე დაინახეს, უჩინარდებიან... ვილაცას შეხვედრია ერთ-ერთი ბავშვი ტყეში. გამოლაპარაკება სცადა. ის ბავშვი გაიქცა და ორმოში ჩახტა... ეცადა, რომ ჩაგიყვანონ იმ ორმოში, უთხარი, მეც ქრისტიანი ვარ და ხშირად მოვალ თქვენთან-თქო და შეიძლება იფიქრონ, რომ გადაგიბირებენ. რამენაირად უნდა შეძერვ. მოკლედ, ფრთხილად იყავი და მარტო ნუ ნახვალ, ვინმე წაიყოლე, მამაკაცი“... – ასეთი დარიგების შემდეგ წავედით ზედაზენზე.

მონასტრამდე ქვა-ლორლიანი აღმართი ადის. ე.წ. სექტანტები კი მონასტერთან ახლოს, დიდი ჯვრის ქვეშ უნდა ცხოვრობდნენ. დიდი, თვითნაკეთი ჭიშკრის ჭუჭრუტანიდან ჯვრის ქვეშ ღარიბი აზნაურის სახლის მსგავსი, შეკონინებული ბარაკები ჩანს. აქედან ვერც ორმოს ვამჩნევ და ვერც უცნაურ ბავშვებს, რომლებიც ადამიანების დანახვაზე უსასრულობაში უჩინარდებიან. ჭიშკარი მაღალია და დაჯავჯგურების შემდეგ არ იხსნება, ეტყობა, კარგად არის ჩარაზული.

„მაინც შევალნე!“ – გავიფიქრე, მაგრამ მერე „რეზიდენციაში“ ძალიან მარტივად, ჭიშკრიდან 10 მეტრში მდებარე პატარა ბილიკით შევედით.

ბილიკის ბოლოს პატარა სახელოსნოა მოწყობილი. თავსაფრიანი ქალბატონი ხის ნაჭერს აშალაშინებს, მერე მეორე, უფრო მოკლე ნაჭერს იღებს ხელში, ამ ორს ერთმანეთს ადებს და ჯვარს კრავს.

„უკვე მე-15 წელია, რაც ვაშენებთ, – მიგვანიშნებს თავსაფრიანი ქალბატონი 60-მეტრიან რკინის ჯვარზე, – შეფუთვდა უნდა ახლა და, დამთავრებული იქნება“, – პასუხობს თბილისიდან ასულ ე.წ. ტურისტებს, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ცოტა ხანში, როცა ამ ქალბატონის ნდობას მოიპოვებენ, საოცარი სანახაობა გადაეშლებათ თვალწინ: უზარმაზარი ორმო, რომელიც ალბათ ამ „რეზიდენციის“ უკან იმალება, უზარმაზარი კიბე, რომელსაც იმ ორმოში ჩაჰყავს ადამიანები. იქ ალბათ მამა ღმერთივით გრძელწვერიანი რუსი ბორია ზის და დანარჩენებს მოძღვრავს.

თუმცა, 5 წუთში იმედეგაცრუებების სერია იწყება და „ტურისტებიც“ ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ორმოებში მცხოვრებ ასკეტებს აქ ვერ იპოვიან.

„მართლმადიდებლები ვართ. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სხვა სარწმუნოების მიმდევრები ვიყოთ, – ამბობს ის თავსაფრიანი ქალბატონი, რომელიც

ჯვარს აკეთებდა და მალევე მიხვდა, რომ „ტურისტები“ სინამდვილეში ურუნალისტები ვიყავით, – ასეც ვიცოდი, რომ შემთხვევით არ იქნებოდით მოსულები“, – გვითხრა და ბორისაკენ გაგვიძვრა.

საქართველოში 32 წლის წინ რუსეთიდან ჩამოსული ბორის ივანოვი ის ადამიანია, რომლის გამოც „ჯვარის მამის“ მრევლის 100-მდე წევრი, თავის მოძღვართან, მამა ლავრენტისთან ერთად, მართლმადიდებლურ ეკლესიას განუდგა და ზედაზენზე ასკეტურად ცხოვრება დაიწყო.

ბორისი წლების განმავლობაში საპატრიარქოში ლობეებს და ბილიკებს აკეთებდა. საქართველოს სხვადასხვა ადგილას კი, საპატრიარქოს დავალებით, დიდ ჯვრებს დგამდა. ხშირად ეკლესიის ეზოში იჯდა და ზოგს მანანალა ეგონა, ზოგს მათხოვარი, ის კი დაინტერესებულ მორწმუნეებს წიგნებში ამოკითხულ ცოდნას უზიარებდა ღმერთზე, წმიდა მამებზე და მათ სწავლებებზე. ბორისი ყველას ეუბნებოდა, რომ მას სულიწმიდის ხმა ჩაესმის და ახლაც ამტკიცებს, რომ უფლის ხმა ყველა მღვდელს უნდა ესმოდეს.

ბორისი სწორედ ამ განცხადებების გამო აითვალწუნეს. დაპირისპირება ბორისსა და საპატრიარქოს შორის 1993 წელს დაიწყო. საპატრიარქოში ამის მიზეზს ასე ხსნიან:

„ეს კაცი ხიბლშია ჩავარდნილი. ნამდვილი ქრისტიანი ამდენს არ ტრიაბაბობს თავისი გაკეთებული საქმეებით. ის კი მუდმივად იკვებინს, რა გაუკეთებია. ღმერთის ხმა კი ბევრს არ ესმის, ეს მხოლოდ რჩეულების ხვედრია“, – ამბობს ერთ-ერთი მღვდელი.

„ბორისს თავისი წარმოდგენა აქვს სახარებაზე და მღვდლობაზე. მან ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ მოაქცია ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ავიდნენ ზედაზენზე, განმარტოვდნენ და დაიწყეს ჯვრის მშენებლობა. მათ თვითონ გადაწყვიტეს, რომ ეცხოვრათ ცალკე ჯგუფად. ამიტომ, მათი მტკიცება, რომ მართლმადიდებლები არიან, ბევრს არაფერს ნიშნავს. მრევლის დიდი ნაწილი, ვინც თავიდან გაჰყვა, მიხვდა, რომ ეს არის რუსი მარლატანი და ამიტომაც დაბრუნდნენ უკან – დედა ეკლესიის ნიაღში“, – ამბობს მამა დავით შარაშენიძე.

„სიონიდან ნიხლით გამომაძევეს“, – იხსენებს ბორისი, რომელიც მრევლთან და მამა ლავრენტისთან ერთად ზედაზენზე დასახლდა – იქ, სადაც პატრიარქის კურთხევით აფხაზეთში დაღუპული მეომრების სახელზე ჯვარი უნდა აღეშენებინათ. საპატრიარქომ ბორისთან დაპირისპირების შემდეგ ჯვრის აღმართვის ბრძანება გააუქმა, განდევნილმა ბორისმა და „ჯვარის მამის“ მრევლმა კი პროცესი მაინც არ შეაჩერეს. ისინი ჯვარს კერძო შემოწირულობით აშენებენ და არსებობისთვის აუცილებელ ფინანსურ დახმარებასაც ამ გზით იღებენ.

დროთა განმავლობაში ზედაზენზე სპონტანურად დასახლებულ მორწმუნეებს ბევრი გამოაკლდა. მათ რთულ და ასკეტურ ცხოვრებას ვერ გაუძლეს. მათ, ვინც ეკლესიაში დაბრუნდა, თავიანთი სულიერი მამებისგან იქ ასვლა აკრძალული აქვთ. ბორისთან ერთად ზედაზენზე დარჩენილი 12 განდევნილი ყველამ დაივიწყა.

70 წლის ბორისი ეზოში ზის. გრძელი თეთრი წვერი და ცისფერი ცოცხალი თვალები აქვს. ხელში მწყემსის ჯოხი უჭირავს.

ბორისთან ახლოს თავსაფრიანი ქალები სხედან. ერთ-ერთს ხელში ფსკვნილი უჭირავს და ლოცვას ბუტბუტებს. მეორე უსასრულობაში იყურება. იქვე, შავთავსაფრიანი ქალი წინდება ქსოვს და პერიოდულად ძალიან გამოისახველად ინერს პირჯვარს.

ამ ადამიანებს თავიანთი მიკროსამყაროს მიღმა ცხოვრება არ აინტერესებთ. ერთადერთი, რაზეც ოცნებობენ, სასუფეველია. არც დენი აქვთ და შესაბამისად, არც ტელევიზორი. ამბობს „ქვემოდაწ“ მხოლოდ გადმოცემით იგებენ. აქ ცივილიზაციის გავლენა არ იგრძნობა. არადა, ოდესღაც ყველა მათგანი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა.

„ცივილიზაცია, აგერ, ჯიბეში მიდევს“, – ხუმრობს და მობილურ ტელეფონზე მიანიშნებს ბორისი. მობილური ტელეფონები აქ ცივილიზაციის ერთადერთი ნიშანია.

ბორისი კითხვებზე სახარების ციტატებით გვპასუხობს.

„მანანა, გადაშალე, მათეს სახარება, N თავი, და ნაიკითხე N-დან N-მდე“, – რუ-

სულად ეუბნება ბორისი გამხდარ, დიდსათვალთან მანანას და პასუხიც არ აყოვენებს.

ზედაზენის განდევნილებს „ქვევით“ წლების განმავლობაში აკერებდნენ სხვადასხვა იარაღს. ისინი ხან იელოვლები იყვნენ, ხან ბაპტისტები, დუხოზორები და ორმოცდაათიანელები. ბორისზე ისიც უთქვამთ FBI-ს და „ფეხებს“ აგენტიანო, ბოლო დროს კი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წინამძღოლობაც მას დააბრალეს.

„იმიტომ გვივრცელებენ ამ ხმებს, რომ ხალხი აღარ ამოვიდეს და მიაღწიეს კიდეც თავისას. აღარავინ გვაკითხავს. ზედაზენის მონასტერში მცხოვრები ბერები კი არც გამარჯობას გვეუბნებიან და „ქრისტი აღსდგას“ რომ ვუუბნებით, პასუხს არ გვცემენ“, – ამბობს ნინო.

„ქრისტი აღსდგას“ – რამდენჯერმე ზედიზედ იმეორებს თეთრი თუთიყუში, რომელსაც განდგომილი მართლმადიდებლები უწოდებენ.

12 ადამიანი ბერ-მონაზვნური ცხოვრებით ცხოვრობს. დილით ადრე იღვიძებენ, ლოცულობენ, საკვებს ამზადებენ. მარხვას თითქმის მთელი წლის განმავლობაში ინახავენ. ამბობენ, რომ მარხულებს შრომა უფრო უადვილდებათ. მძიმე სამუშაოებს ქალებიც ისეთივე დატვირთვით ასრულებენ, როგორც მამაკაცები. ეკლესიის ასამენებელ ბეტონს ხელით ზელებენ. რკინის კასრებზე შეყუდებული ხის თავშესაფარიც მათივე ხელითაა აშენებული. ქარმა რომ სახურავები არ ახადოს, თუნუქის ნაჭრებს მანქანის საბურავებით ამაგრებენ.

ოდნავ ქვემოთ, ტყეში, იმ ორმოსაც „მივაგენით“, სადაც თბილისში გავრცელებული აზრით, ეს ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა, ეს ორმო კი არა, გვირაბით მთაში გამოთხრილი სალოცავია. მას დაბალი შესასვლელი აქვს, ამიტომ თავდახრილები შედიან. შიგნით ისეთი სიჩუმე და სიცივეა, რომ ის, ვინც იქ სალოცავად შედის, გარესამყაროს სრულიად მონყვეტილია.

მღვდელი აღარ ჰყავთ და წირვებს ვერ ატარებენ, ამიტომ აღსარებას ერთმანეთს ეუბნებიან. „მართალია, ჩემ სულიერ ძმას შენდობის უფლება არ აქვს,

■ **ზედაზნის განდევილებს „ქვევით“ წლების განმავლობაში აკერებდნენ სხვადასხვა იარაღს. ისინი ხან იელოველები იყვნენ, ხან ბაპტისტები, დუხობორები და ორმოცდაათიანელები.**

მაგრამ მას შეუძლია ილოცოს ჩემთვის“, – ამბობს ერთ-ერთი თავსაფრიანი ქალი, ნინო.

3 კაცი და 9 ქალი ერთ სივრცეში ცხოვრობს, თუმცა, ყველა მათგანს საკუთარი სენაკი აქვს. დაბალჭერიან ოთახებში თავდახრილები შედიან. ყველას ხის პატარა საწოლი უდგას, ზოგს მაგიდაც აქვს. ყველა სენაკში შემის ღუმელი დგას, რომელსაც აგურები აქვს მიმაგრებული. „ეს ბორისმა მოიფიქრა, ზამთარში სითბოს კარგად ინარჩუნებს“, – გვიხსნის მანანა. კედლებზე ხატები და თავიანთი გამოთლილი ჯვრები უკიდიათ.

„აქ მცხოვრები ქალები ქალწულები არიან, ოჯახები არ ჰყოლიათ, ერთია მხოლოდ ქერივი“, – ამბობს 40 წლის კოტე, რომელსაც თვითონ 3 შვილი ჰყავს თბილისში. ბავშვები შაბათ-კვირას და ზედაზნის არდადეგებს მამასთან, ზედაზნეზე ატარებენ ხოლმე. მათი სენაკიც განსაკუთრებულად „გარემონტებულია“.

შევათავსაფრიან ნუნუს ნეროვანში სამი შვილიშვილი ჰყავს, თუმცა, ამბობს, რომ ამ სამყაროს არავისში გაცვლის.

ისინი თბილისში ჩასვლასაც ერიდებიან, ამბობენ, რომ იქ დიდხანს გაჩერება არ არის სასარგებლო.

„რამდენადაც დიდ დროს ატარებ იქ, მერე ისევ გებრძვის ეშმაკი. ხორცს მაინც სხვანაირი ცხოვრება უნდა. აქ კი მხოლოდ სულისთვის ვცხოვრობთ“, – ამბობს ნინო.

თორმეტივე დარწმუნებულია, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ღმერთთან აახლოებთ.

„ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სახარებით ვხელმძღვანელობთ. დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და ღმერთის გზით მივდივართ; რასაც ღმერთი გვკარნახობს, იმას ვაკეთებთ“.

„ჩვენთვის „პაგონები“, პატივი, დიდება და ფული არაფერს ნიშნავს, ამიტომაც მიუღებელია ის მღვდლები, ვინც დღეს ქართულ ეკლესიაში მსახურობენ“, – ამბობენ ზედაზნეზე.

გამოცილებისას მართლმადიდებლური ეკლესიიდან გარიყულმა ზედაზნეზე მცხოვრებმა მართლმადიდებლებმა ჩვენს მანქანას ჯვარი გადასახეს და ისე გამოგვისტუმრეს. ☑



ზედაზნეზე ასკეტურად მცხოვრები მართლმადიდებლები, 17 ივნისი 2010

ფოტო: ზურაბ შიშინაშვილი

მამახასები მტვერსასხუტებით



ლაშა ბულაძე, მწერალი

აი, სკანდალიც ამას ჰქვია: აგერ უკვე ერთ წელიწადზე მეტია, გერმანულ ბესტ-სელერთა სიაში შარლოტე რომის რომანი, „სველი ადგილები“ ლიდერობს. წიგნი სულ ორასიოდე გვერდი იქნება, მაგრამ უკვე ერთი მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.

რომანი იწყება სრულიად სკანდალურად (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით), თუმცა მალე იმასაც ხვდები, რომ რეალურად არა საზოგადოების პროვოცირება-გალიზიანებისთვის დაწერილ ტექსტს, არამედ გამაოგნებლად ღრმა, გულწრფელ და ძრწოლისმომგვრელ დრამას კითხულობ: თინეიჯერი-გოგონას ამბავს, რომელიც – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით – შუაზე იხევა (სხვა სიტყვის დაწერა არ მიწდოდა), რათა გაშორებული მშობლები შეერიგოს. მთხრობელს (ხსენებულ გოგოს) ბუასილი სტანჯავს და მშობლებიც მხოლოდ მაშინ ნახულობენ ერთმანეთს, როცა ამ უბედურის კლინიკაში წაყვანა ხდება საჭირო. ხოდა, როცა გააცნობიერებს, რომ სწორედ მისი ბუასილია ის თემა, რამაც, შესაძლოა, კვლავ კეთილად განაწყოს გაბოროტებული დედ-მამა ერთმანეთის მიმართ, იმისთანებს ჩაუტარებს თავის, ბოდიში და, უკანალს, რომ... ჩემ მტერს! საბოლოოდ, ერთ თვეს დაჰყოფს კლინიკაში და ამ ინფანტილურ-მაზოხისტურ-ტრაგიკომიკური გზით შეეცდება დანგრეული ერთობის აღდგენას. რითი დასრულდება მისი წამება, აღარ მოგვცები, ეგებ თავადაც გადაწყვედეთ ამ რომანს, ამ ტექსტის დასახასიათებლად კი მისი ერთ-ერთი მკითხველის (გოგონას) სიტყვებიც გამოდგება: იმას წერს, რაც ყველა გოგოს გაუკეთებია ან უფიქრია მაინც, მაგრამ არავისთან გაუმხელიაო.

გოგოების საიდუმლოებებს ყიდისო. ამ სიტყვებს ყდასაც მივანერდი – კიდეც მილიონი გაიყიდებოდა. ყმანვილკაცები მიესეოდნენ. ვის არ ენდომება გოგოების „საიდუმლოებების“ გაგება!

ახლა კი, რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ კაცებზეც მოგიყვებით. წიგნის ავტორი, შარლოტე რომი, დიდი უცნაური ვინმე გახლავთ. ბოლო ერთი წელია, მკითხველთან შეხვედრებზე (ე. წ. ლეზუნგებზე) თავისი ტექსტების მაგიერ ცნობილი მიუნხენელი უროლოგის (წარმოშობით, სხვათა შორის, ქართველის) სამედიცინო კვლევას კითხულობს და, როგორც ჰყვებიან, საგონებელში აგდებს მსმენელ მამაკაცებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა წმინდა სამედიცინო (ფსიქო-ფიზიოლოგიური) ხასიათისაა, შარლოტე რომი მას, როგორც ერთგვარ ლიტერატურულ პერფორმანსს, ისე წარმოადგენს, და, ვფიქრობ, ეს არცაა გასაკვირი, თუკი კვლევის სათაურსა და თემას გავეცნობით. ცნობილი უროლოგის კვლევას ჰქვია:

„მამაკაცთა სასქესო ორგანოების დაზიანება მტვერსასრუტთან სექსუალური აქტის დროს“. ხომ კარგია? ბ-ნ ექიმთან, თურმე, წლების განმავლობაში მიდიოდნენ პაციენტი-მამაკაცები, რომელთაც – არც კი ვიცი, როგორ აეხსნა – მოჩეჩვილ-დალილავებული პენისები ჰქონდათ. სიმპტომატიკა ყველგან ერთი და იგივე იყო (ანუ ყველას ერთნაირი დაზიანება აღენიშნებოდა), მაგრამ სიმართლეს არავინ ამხელდა – არავის უნდოდა იმის აღიარება, რომ პენისი მტვერსასრუტთან ალერსის დროს დაეჩეჩვა. ექიმიც საგონებელში ჩავარდნილა – ვერ გაეგო, ასე ერთგვაროვნად რა აზიანებდა პაციენტთა საოხრეებს! თუმცა, ბოლოს მაინც გამოტეხილა ერთ-ერთი, – უღიარებია, ცოლმა ახალი მტვერსასრუტი შეიძინა და ვერ მოვითმინე, ვეციო. და მერე წამოსულა და წამოსულა მარტოხელა მამაკაცების აღიარებები: სექსი მტვერსასრუტთან, სექსი მტვერსასრუტთან, სექსი მტვერსასრუტთან...



საინტერესო ისაა, რომ კვლევის გამოქვეყნებიდან სულ მოკლე ხანში მტვერსასრუტების კომპანიამ (მამაკაცები ერთი კონკრეტული ფირმის მტვერსასრუტს ეტანებოდნენ – შემწოვი ჰქონია მეტად მიმზიდველი, თუმცა მერე სწორედ ეს შემწოვი უჩეჩქავდათ პენისებს – თან, როგორც ჩანს, მაინცდამაინც კულმინაციის დროს) მთლიანად შეცვალა ამ მანქანის დიზაინიც და შიგნეულობაც, მაგრამ იმდენადც არა, რომ მთავარი ფუნქცია დაეკარგათ მისთვის – შემწოვი მაინც დაუტოვეს, თუმცა ამ მხრივ (სექსის თვალსაზრისით) – სრულიად უვნებელი: ანუ მტვერსასრუტის „ჯღღღმა“ კვლავაც შეეძლება, ან ისე აქვს შიგნეულობა მონწყობილი, რომ მოთეთქვა-მოჭეჭყვას ვეღარ მოახერხებს...

სწორედ ამ კვლევას კითხულობს „სველი ადგილების“ ავტორი თავის ლეზუზნებზე და, როგორც ამბობენ, ზოგიერთ მამაკაცს გულიც უწუხდება მისი მოსმენისას. ბ-ნ ექიმს კი, ბუნებრივია, მწერლისთვის უჩივლია, – ჩემი სტატია საშაყირო რამ არ გახლავთ და საავტორო უფლებებსაც ნუ არღვევთო. საქმე სასამართლომდეც მისულა.

ჩვენ კი რა ვთქვათ? ხედავთ, რა დღეში ყოფილან სანყალი კაცები?

ისე, მტვერსასრუტზე არ მიფიქრია, მაგრამ ველოსიპედებზე კი ყოველთვის ვეჭვობდი, რომ მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ტანვარჯიშით გადარეულ და „ფორმაში ყოფნაზე“ ჭკუადაკარგულ ქართველ კაცებს... იმას ვერ აღვწერ, რაც ერთ აუზზე, უფრო სწორად, სავარჯიშო დარბაზში ვიხილე – ეს იყო ნამდვილი გაუპატიურება სანყალი ველოსიპედისა... ერთი ბრგე კაცი მანამ არ მოეშვა, ვიდრე ველოსიპედი არ ააკივლა: ოღონდ ახლა ამომასუნთქე და სხვას არავის მივეძლევიო. არ მეგონა, თუკი ველოსიპედის მოგუდვა-დაგრეხა-შეცნობის მოწმე გახვდებოდი... კინაღამ ცოლად მოიყვანა ბოლოს.

ხოდა, ამიტომ არც გერმანელ კაცებზე გამკვირვებია! სულიერად მარტოხელა მამაკაცს რა გამოლევს ამქვეყნად...

ქალებს კი მაინც მინდა, ვურჩიო: სახლიდან გასვლის წინ საგულდაგულოდ დამალონ მტვერსასრუტები. რა იცი, რა ხდება. ☐



ესპანეთის და შვეიცარიის ნაკრებების საფეხბურთო მატჩი, 16 ივნისი 2010

ჰიხველი ბოზები

სანდრო ნავერიანი

მჯეროდა, რომ ჰიტცფელდი-დელ ბოსკეს დუელი ლოგიკურად არ დამთავრდებოდა, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, თუ ესპანეთი ქულასაც ვერ აიღებდა. ჰიტცფელდმა შვეიცარიელები იმ ტაქტიკით ათამაშა, როგორითაც უნდა ითამაშო ესპანელების წინააღმდეგ. შვეიცარიამ ესპანეთს ერთი ბურთი შეუფგო რაგბის სტილში და მუნდიალზე პირველი ბოზი ააფეთქა.

ესპანელებმა ვერ აჩვენეს ის თამაში, როგორსაც მისგან, ბოლო ორი წელია, მივეჩვიეთ. ამის მიზეზი ისევ და ისევ ძალიან მძიმე სეზონია. შვეიცარიასთან მარცხის მიზეზი დაბალი ტემპია. მიუხედავად ჰიტცფელდის სწორად გათვლილი სტრატეგიისა, დარწმუნებული ვარ, ესპანელებს ჩვეულ ტემპში რომ ეთამაშათ, მესაათეები ბოლოს მაინც გატყდებოდნენ.

მიუხედავად მარცხისა, ესპანელებს არ გაუჭირდებათ ჯგუფიდან გასვლა... უბრალოდ გავლენ მეორე ადგილიდან და მერვედფინალში ბრაზილიელებს შეხვდებიან.

ბრაზილიელებმა პირველ შეხვედრაში ჩრდილოეთ კორეას მოუგეს. მათზე ჯერ რამის თქმა ადრეა – როგორც ყოველ-

თვის, დამაჯერებლად გაიმარჯვეს. აი, ჩრდილოეთ კორეამ კი ნაღდად კარგად ითამაშა. ბურთთან უკეთ რომ ევარჯიშათ მუნდიალამდე, საკმაოდ ძლიერი გუნდი ეყოლებოდათ. ჩრდილო კორეელებს თავისუფლად გადააჰქონდათ ბურთი უკანა და ცენტრალური ზონებიდან თავდასხმაში, იმისათვის, რომ თავდასხმაზე ბურთი მისულიყო, კორეელი მცველები და ნახევარმცველები სულ რაღაც 5-6 გადაცემას აკეთებდნენ. თუმცა, ეს მხოლოდ კორეელების კარგი თამაშის შედეგი არ იყო – ბრაზილიელები ზონებს სპეციალურად უთავისუფლებდნენ, შემდეგ კი საკუთარ საჯარიმოსთან უფრო იოლად ართმევდნენ. ასეთმა ტაქტიკამ ბრაზილიას მოუტანა ის, რომ ნაკლები ენერგია დახარჯეს. ბრაზილია ერთადერთია, ვინც დიდი ფიზიკური ძალისხმევის გარეშე მიიღო შედეგი.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა დაძაბული იყო, მაგრამ – უინტერესო. ძალიან მომენონა კოტ-დ'ივუარელი ჟერვინიო. აფრიკელ ვინგერს აშკარად დიდი პოტენციალი აქვს და თუ პორტუგალიასთან გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი არ გამოსდითა, გამოუტყდელი ბრაზილია. ბრაზილიასთან გაცილებით თავდაჯე-

რებული იქნება და მაიკონი-ჟერვინოს დუელიც საინტერესო უნდა იყოს.


მაიკონზე გამახსენდა, კორეელებს შემთხვევით შეუგდო ბურთი. ინტერვიუში კი თქვა, რომ იცოდა, სადაც ურტყამდა. ეს ტყუილია, ან მაიკონი არის უტვინო ფეხბურთელი – იმ ადგილიდან, საიდანაც მაიკონმა დაარტყა, ფეხბურთელი კარში არ უნდა ურტყამდეს.

არგენტინამ მეორე თამაში ჩაატარა და ისიც მოიგო. რა ვთქვა, აბა, იგივე ამბავია: თავდასხმა ჰყავთ, რუსეთთან ომს მოგვაგებიანდა, ცენტრალური და უკანა ხაზი კი – გაცილებით სუსტი. თუმცა მუნდიალზე არ მეგულება დაცვის ხაზი, რომელიც არგენტინის შეტევებს გაუძლებს.

ორ-ორი თამაში ჩაატარეს გერმანიამ და ინგლისმა. სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ გერმანელების ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი შეხვედრა არ გამოდგებოდა მათი სიძლიერის ინდიკატორად. მეტოქე ავსტრალია იყო და იმიტომ. მეორე შეხვედრამ კი დაამტკიცა, რომ გერმანელები ძალიან ძლიერები არიან – ტაიმზე მეტხანს, ათკაციათა გერმანიამ სერბებს ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა.

ინგლისელებს პირველი შეხვედრა ცუდად არ ჩაუტარებიათ. ყოველ შემთხვევაში კაპელოსგან შემტვეი და „არიქა ყველანი წინ“ თამაში არასოდეს მინახავს. ასეთ ფეხბურთს ათამაშებდა „რეალს“, „მილანს“, „რომას“ და „ოვეს“. ასეა ინგლისშიც. თუ ვინმე საკუთარ კარში შეადგებს, რა თქმა უნდა, ამას მწვრთნელები არ ითვალისწინებენ.

მეორე შეხვედრა ალჟირთან ჩაატარა. ალჟირთან ნაჩვენებ თამაშს მე და სოკერის მოყვარული ადამიანები „სვარკას“ და „ბალახის ძოვას“ ვეძახით.

ბოლოს ჩემი საყვარელი გუნდის შესახებ ერთ სიტყვას ვიტყვი: მუნდიალი უკეთესი საყურებელი გახდება, თუ საფრანგეთი გავარდება და ალბათ ასეც მოხდება – მექსიკაც და ურუგვაიც ფეხებზე დაიკიდებენ ფეხბურთის პრინციპებს და ერთმანეთში ფრეს გააგორებენ. ასეთ შემთხვევაში კი, ფრანგებს მოუნვეთ სამშობლოში დაბრუნება, რომელიც ბევრისთვის იმავე კონტინენტზეა, სადაც მუნდიალი. 

ვევეზეა



გიო ახვლედიანი, ლონდონი



ხომ უყურებთ ფეხბურთს. არ გადა-მრიოთ, მარადონას ტელესერიალური ნვერ-ულვაში არ გინახავთ? აბა, რას უყურებთ. ცხოვრებას მტერმა უყურა.

მტერმა დაიძინა ვუვუზელას ხმაში.

აი, რა სასარგებლოა მსოფლიო ჩემ-პიონატი, აქამდე ვინ იცოდა, რა არის ვუვუზელა.

ისე, შესხენებისთვის, თორემ დიდ-მცოდნეობაში კი ნუ ჩამომართმევთ:

ვუვუზელა ერთმეტრიანი საყვირია, რომელსაც ათიათასობით აფრიკელი ჩაჰბერავს ხოლმე ფეხბურთის მატჩის მსვლელობისას. მისი ხმა უწყვეტია, გამყივანი და გამანადგურებელი.

ვუვუზელა იქაური კაიზერ ჩიფსის ფანმა, ფრედი მააკემ, მეტსახელად სადამმა, გამოიგონა 90-იან წლებში. ამბობს, – გამოვიგონეო, – თორემ რა გამოგონება უნდოდა, ძველი ველოსიპედის საყვირი დაუგრძელებია. მოკლედ, 11 ივნისიდან მოყოლებული ვუვუზელა ყველაზე ცნობილი სუვენირია მსოფლიოში, თუმცა ჩაბერვას ცოდნა უნდა, და არასამხრეთაფრიკე-

რომლის პატენტზეც წელს იქაურ ბაპ-ტისტურ ეკლესიასაც კი განუცხადებია პრეტენზია, – ჩვენიაო.

ვუვუზელას ჭყვიტინში თამაში ძნელია.

საერთოდ, აფრიკაში ისეთი სიძნელებები გაჩნდა, რომ არ მოელოდნენ.

ერთი პირობა ვუვუზელას აკრძალვაც იფიქრეს, მაგრამ მერე უარყვეს.

ის ხალხი ვუვუზელას ჩასაბერად

დასს“ ბურთი მარტშივე დაუგზავნია მისაჩვევად, მაგრამ სამიოდ ქვეყნის გარდა, ის შიდა ჩემპიონატებში არავის გაუგორებია, სხვა ფირმებთან კონტრაქტის გამო.

ჰოდა, ჯაბულანი, რაც ზულუსურად ხალისობას ნიშნავს, მეკარეების წინააღმდეგ გამოგონილი ბურთია, სად მიუხვ-მოუხვევს, ძნელი სათქმელია.



■ ჩვენ როდის მოვხვდებით ვუვუზელობაში? ხალხმა

ფეხბურთის თამაში ისწავლა, ჩვენ კიდევ დაგვაგინყდა. აღარ გადავიმეორეთ.

უფრო დადის სტადიონზე, და იმასაც თუ აუკრძალავენ, აბა, სამხრეთი აფრიკა, ისეთი პირი უჩანს, კი გავარდება ამ კვირაში.

ბერძნებმა, ლამის ოფიციალურად მოითხოვეს მათ თამაშებზე ვუვუზელას აკრძალვა, – ერთმანეთისა არ გვესმისო. ერთმა ინგლისელმა დოქტორმა კი თქვა, – რახან სამხრეთ აფრიკაში გრიპების სეზონია, ვუვუზელა ბაცილის გადატანის კარგი საშუალებააო.

ეგ კი გასაგებია, მაგრამ იმ ხალხისთვის ფეხბურთი ზეიმიია. აპარტეიდის დროს ფეხბურთი ლამის ისე იყო, როგორც საბჭოთა კავშირში – ჯაზი, თუ უარესადაც არა. რამდენი ფეხბურთელი მოხვდა ციხეში ფეხბურთის თამაშისთვის.

შვეიცარიელების მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ჭკვიანურად მოიქცა, ვარჯიშზე აფრიკელი ფანები მოიწვია და იმათ ვუვუზელობაში კი მიაჩვია თავისი ფეხბურთელები სტადიონის მოსალოდნელ ხმას. ჰოდა, კიდევ დააყუდა ეს ჩვენი ნაქები ესპანელები.

საერთოდ, მიჩვევის ამბავი მნიშვნელოვანი გამოდგა. ჩემპიონატის ოფიციალურ სათამაშო ბურთს, „ადიდასის“ ჯაბულანის ყველა დედას აგინებს გერმანელების გარდა. „ადი-

თუმცა, ეგეთი ბურთი თავდამსხმელეებისთვისაც საძნელო აღმოჩნდა.

ფაბიო კაპელომ ჯაბულანის მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე უარესი ბურთი უწოდა და მარადონამ კი პელეს და პლატინის მოუწოდა, – ბევრს რომ ლაპარაკობთ, ერთი მინდორზე შემობედეთ, და მაგ ბურთის აკენწვლას ეცადეთო.

მოკლედ, აქეთ ვუვუზელა და იქით – ჯაბულანი. ჩემპიონატი კი მშვენივრად მიდის, ჯერჯერობით ყველას ურუგვავი, შვეიცარია და ჩილე სჯობია. ეგ არის, მესი არგენტინაში თამაშობს. ურუგვავაში რომ თამაშობდეს, ჩემპიონის ბედი გარკვეული იქნებოდა.

კაციც ის იქნება, ვინც ჯაბულანის ფხიზლად დაუხვდება და ვუვუზელას – მძინარედ.

სამხრეთ აფრიკაში კი ზამთარი გახურდა. აუცია, როგორც ჩვენთან ნოემბრის ბოლოს.

„აჰ მეზურნევ, დაჰკარ, დაჰკარ, დაჰკარ გრძნობით დაირასა,

თუ ხარ საქართველოს შვილი, ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა“.

ჩვენ როდის მოვხვდებით ვუვუზელობაში? ხალხმა ფეხბურთის თამაში ისწავლა, ჩვენ კიდევ დაგვაგინყდა. აღარ გადავიმეორეთ. □

ლი ფანობა მის დაუფლებას დიდად არ ეშურება.

ვუვუზელამ გადაფარა ყველაფერი. სი ბემოლია ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა არ გეგონოთ. აღარ ისმის არც ინგლისელების სიმღერა, არც სხვა რამე. სამხრეთი აფრიკა დადის სტადიონებზე და უბერავს ვუვუზელას,

ბასახეთები ხილვ ბეჭიხი



პირადად ჩემთვის ნარკომანია ძნელად გასაგები, ლამის პარალელურ განზომილებაში არსებული სამყაროა, მაგრამ წლების განმავლობაში მომხმარებლების სიახლოვეს ყოფნამ აბსოლუტურად დამარწმუნა ერთ რამეში – ეს ადამიანები ბოროტმოქმედები ნამდვილად არ არიან; კანონდამრღვევები – კი, ბოროტმოქმედები – არა.

კახა თოლორდვა

რამდენიმე დღის წინ ქუჩაში ერთ ძველ ნაცნობს გადავყვარე, დიდი ხნის უნახავ კარგ ნაცნობს. საღამო იყო. არც ერთს არ გვეჩქარებოდა. ქუჩაში მივსერიწობდით და ვსაუბრობდით. გაგებული მქონდა, რომ ბოლო რამდენიმე თვე ციხეში გაატარა როგორც ნარკოტიკის მომხმარებელმა. არაფერი მიკითხავს, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და თვითონვე წამოიწყო ლაპარაკი ციხეში გატარებულ თვეებზე. საკმაოდ წყნარად და აუღელვებლად ჰყვებოდა იმ დამცირებებზე და შეურაცხყოფებზე, რისი გადატანაც მას და სხვა პატიმრებს უხდებოდათ იქ ყოფნისას. თავიდან შეკითხვებს ვუსვამდი, ის მპასუხობდა, რაღაც მომენტში კი, მას შემდეგ, რაც ციხის პერსონალის ქცევაზე მომიყვია, კრიჭა შემეკრა და მხოლოდ ვუსმენდი. როდესაც ლაპარაკს მორჩა, კიდევ რამდენიმე ხანს უხმოვდ მივაბიჯებდით. შემიძლია დავიფიქრო, რომ ძალიან დიდი ხანია, ისეთი შთაბეჭდილება არაფერს მოუხდენია ჩემზე. ციდან ჩამოვარდნილი ნამდვილად არ ვარ, არც ისეთი მიამიტი, რომ არ ვიცოდე, ციხეებში რა შეიძლება ხდებოდეს, მაგრამ იმ საღამოს მისმა მონათხრობმა ისე გამანადგურებლად იმოქმედა ჩემზე, რომ როდესაც ერთმანეთს დავემშვიდობეთ და მე ჩემს გზას გავედექი, ცრემლებამდე ცოტალა მაკლდა. შიგნიდან მაკანკალებდა. ყელთან მოვარდნილი სიბრაზე თითქოს დახრჩობას მიპირებდა. გარკვეული დრო დამჭირდა, თავს რომ მოვრეოდი. მერე კი თითქმის მთელი ღამე არ მეძინა, იმ ჩემს ნაცნობზე ვფიქრობდი – ნიჭიერ ადამიანზე, ვინც ყველაფერი დაკარგა მხოლოდ იმის გამო, რომ თავის დროზე თავს ვერ მოერიდა.



ერთხელ და სამუდამოდ მოვიცილოთ ეს ზედმეტად შემანუხებელი ტვირთი ჩვენი კომფორტული ტვინებიდან, დიდი საიმოვნებით დავთანხმდებოდით იმაზე, გემები რომ ნარკომანებით დაეტვირთათ და წყლებს მიეცათ ისეთი უკაპიტანო „ბრიყვთა ხომალდები“. ასე სულიერად ავადმყოფ ადამიანებს ექცეოდნენ მეთხუთმეტე საუკუნის ევროპაში.

სადღაც-სადღაც ნარკომანებს სამუდამო პატიმრობაშიც უშვებენ და სიკვდილითაც კი სჯიან, მაგრამ ეს ვარიანტები ჩვენ ნამდვილად არ უნდა გვანყობდეს. დააკვირდით, ნარკოტიკების მომხმარებლებს იჭერენ და ასამართლებენ, იჭერენ და ასამართლებენ, მაგრამ მათი რიცხვი არ მცირდება, პრობლემა კი პრობლემად რჩება. რატომ? იმიტომ, რომ გასაკეთებელი (გადასაყლაპი, მოსაწევი, დასალევი, ა.შ) კიდევ ბევრია. გასაკეთებელი იმდენად ბევრია, რომ თუ ასე გაგრძელდა, ყველა ჩვენგანისათვის სამყოფი გასაკეთებელი შეიძლება გაჩნდეს. ალბათ აქედან უნდა დავიწყოთ. არ ვიცი. ჩემზე კარგად ამის შესახებ იმით უნდა მოესხენებოდეთ, ვინც ამ პრობლემის გადაჭრითაა დაკავებული. ის კი, რაც დანამდვილებით ვიცი, აი ესაა:

„დედაშენის ჩავაქრობ ამ სიგარეტს, შე გნილოი!“ – ეს ერთ-ერთი ის შეურაცხყოფათაგანია, ალბათ ყველაზე ასატანი, თუ სხვა, თითქმის ენით აუნერგლ რამეებს გამოვრიცხავთ, რაც იმ ჩემს ნაცნობს მოუწია გადაეტანა ციხეში ყოფნისას მხოლოდ იმიტომ, რომ ის მომხმარებელია. მე აღარ მინდა თბილისის ქუჩებში შემხვედრი ნაცნობებისგან ასეთი ისტორიების მოსმენა. არც ასეთ დღეში ჩავარდნილი ნაცნობების ნახვა მინდა. ალბათ არც არავის უნდა.



ყოველდღიური
ჯეები და
ოდიზვილისგან

პასიკო
ოდიზვილისგან

გაესტრო



ორშაბათი-პარასკევი

23:00


D - დღე

პირველი 24 საათი



დღე, რომელმაც გადაწყვიტა მეორე მსოფლიო ომის ხელ-იღბალი!

- წიგნი მოიცავს მონინალმდეგეთა ცალკეული ტაქტიკური მანევრების დეტალურ აღწერილობას D-დღეს დესანტის გადმოსხმის თითოეულ ზონაში პირველი 24 საათის განმავლობაში.
- სპეციალურად ამ წიგნისთვის შექმნილ ფერად რუკებზე გამოსახულია ნორმანდიის სანაპირო ზოლის ხუთივე მონაკვეთი და D-დღის მონაწილე ძალოვანთა მარშრუტი 1944 წლის 6 ივნისის შუალამემდე.
- წიგნი გაფორმებულია სანაპიროზე მიმდინარე მოვლენათა ამსახველი დოკუმენტური ფოტოებით.



**ბაკურ სულაკაურის
ბამოცემლობა**

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge

